

Handwritten signature or initials in the top left corner.

საქართველოს

გეოლოგიური ინსტიტუტის

ბოლთა

BULLETIN DE L'INSTITUT GÉOLOGIQUE DE GÉORGIE

ტომი I
Vol. 1

1932

ნაკვ. 2
Fasc. 2

გაშუქრელიძე პ. და ჩიხელიძე ს.,—ძირულის ხეობის ნაწილის გეოლოგიისათვის.
Гамкრელიძე П., Геологическое описание части долины рр. Дзырулы и Чхеримелы.
კაჭარავა ი.,—ტყვარჩელის რაიონის გეოლოგია.

2 რუკით.

ტფილისი—Tiflis
1933

ძირულის ხეობის ნაწილის გეოლოგიისათვის *).

1929 წლის ზაფხულში შრომის (ყოფ. შორაპნის მაზრაში) ცეცხლ-გამძლე თიხების კვლევა-ძიებასთან დაკავშირებით მოგვიხდა მდ. ძირულის ხეობის ქვედა ნაწილის და, მცირე მანძილზე, მდ. ყვირილის ხეობის გეოლოგიური აგებულების შესწავლა.

საძიებო პარტიის წინაშე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. კ. გაბუნია, დასმული იყო შემდეგი ძირითადი საკითხები: როგორია ცეცხლ-გამძლე თიხის ბუდობების გეოლოგიური სტრუქტურა, სხვადასხვა ადგილას გაშიშვლებულ თიხის შრეების ურთიერთობა, მათი გავრცელება, მარაგი და სხვა. ხოლო ამ პრაქტიკული საკითხების საფუძვლიანი გადაწყვეტა და მასთან ახალი საბადოების ძებნა მტკიცედ უკავშირდებოდა რაიონის გეოლოგიური აგებულების შესწავლას. შესწავლილ და აგეგმილ იქმნა დაახლოებით 120 კვ. კილომეტრი 1 : 42000 მასშტ. რუკის საფუძველზე; თვით თიხის საბადოს ახლო მიდამოები — კი აიგეგმა 1 : 9000 მასშტაბით. ველზე ჩატარებული მუშაობის საბოლოო ექსპერტიზი მოახდინა პროფ. ალ. ჯანელიძემ (ოქმი 25/X-29 თარიღით).

ჩვენი მიზანია ჩატარებული კვლევის შედეგების მოკლედ გადმოცემა, უმთავრესად სტრატეგრაფიული და ტექტონიკური დასკვნების, მთავარი ფაქტების აღნიშვნით. პრაქტიკულ მხარეს, კერძოდ ცეცხლ-გამძლე თიხების აგებულების და მარაგის საკითხს, აქ არ შევიხებით, საამისოდ საჭირო იქნებოდა სპეციალური წერილი.

ამ მოკლე წერილში, რომელიც შორსაა რაიმე პრეტენზიისაგან დასრულებული კვლევის ან ანგარიშის სახელწოდებაზე, გვერდს ვუვლით ფართოდ განხილვას სათანადო ლიტერატურისას, — ამ უკანასკნელს მხოლოდ გზადაგზა მივმართავთ ზოგიერთი საინტერესო საკითხის გარჩევასას. ასეთი მოქმედება მით უფრო დასაშვებია იქნება, რომ ამჟამად გამოკვლეული რაიონის შესახებ არსებული ლიტერატურული წყაროები მეტწილად მხოლოდ ისტორიულ ინტერესს წარმო-

* მოხსენება, წაკითხული საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე 1930 წლის მაისში. თუმცა მის შემდეგ საკმაოდ დრომ განვლო, და მასთან შეგროვილი მასალა კამერული დამუშავების მხრივ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ჯერხნობით კვლავ ხელუხლებელია, — წერილის გამოქვეყნება მაინც დროულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მასში აღძრულია და ზოგ შემთხვევაში გარკვეულიც ძირულის ხეობის გეოლოგიის ზოგიერთი ახალი საკითხები. (ავტორ.)

ადგენენ. გამონაკლისს წარმოადგენს პროფ. ვ. ზოგაჩოვის წერილი ყვირილის ხეობის შესახებ (იხ. ქვემოთ).

ჩატარებული მუშაობა წარმოადგენს იმ დროს ჯერ კიდევ სტუდენტობის ხანაში მყოფ პირთა პირველ დამოუკიდებელ კვლევას.

საპატიო ვალად მიგვაჩნია უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ჩვენს მასწავლებლებს პროფ. ალ. ჯანელიძეს და პრ. კ. გაბუნიას გულთბილ, დაუფასებელ ხელმძღვანელობა-დახმარებისათვის მრავალი რთული და მძიმე საკითხის გარკვევის დროს.

ადგილმდებარეობა. აგეგმილ რაიონს მდ. ძირულის ხეობის გასწვრივი ზოლი უჭირავს, აღმოსავლეთით მდ. ბჟინურის მარჯვენა ქედით, ხოლო დასავლეთით მდ. ყვირილით შემოსაზღვრული. აგეგმილია აგრეთვე ჩრდილოეთით ყვირილის ხეობის მცირე ნაწილი, კაცხ-სალიეთის მიდამოები (ჭიათურის რაიონი).

საერთოდ იმერეთის ეს ნაწილი თავისებურ გეომორფოლოგიურ ერთეულს წარმოადგენს. მისი თავისებურება ე. წ. ძირულის მასივის არსებობით განისაზღვრება. აღმოსავლეთით ქართლის დაბლობისაგან ლიხის ქედით გამოყოფილი, რომელიც იმავე მასივის ამალღებული ნაწილია, დასავლეთით კოლხიდის ველის მოსაზღვრე, ხოლო ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან მაღალი მთებით, — ნაქერალის, სამხრეთ-ოსეთის და აჭარა-ახალციხის კალთებით შემოფარგლული, — ძირულის მასივი მდინარეების ღრმა ხეობებით დასერილ ზეგანს წარმოადგენს თავისებური რბილი რელიეფით, ვაკე ქედებით, მორგვალელებული მწვერვალებით და კალთებით. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ცარცის ნალექები: იქ, სადაც ეს უკანასკნელები არის განვითარებული, ხშირია განსხვავებული რელიეფი ვერტიკალ კედლებად აღმართული კარნიზისებური კლდეების და ვაკე-მაღლობების სახით. უურადლებას იპყრობს მდინარეების ურიცხვი შენდრებით დაკლაკნილი ხეობები. მათგან აღსანიშნავია ყვირილა და მისი მთავარი შენაკადი ძირულა მთელ რიგ დიდ და პატარა შენაკადებით.

საკუთრივ აგეგმილ რაიონში მთავარ როლს მდ. ძირულა თამაშობს, რომელიც სოფ. ვერტყვილის ქალიდან მდ. მაჭარულის შეერთებამდე (შროშაში) თითქმის კრისტალური მასივის და დანალექი ფორმაციების საზღვარს მიჰყვება; შემდეგ ძირულა სამხრეთისაკენ უხვევს, გაჰკვეთს პორფირიტების და ტუფ-ქვიშაქვების სქელ სერიას ჩხერიმელის შეერთებამდე, აქედან-კი კვლავ დასავლეთისაკენ იბრუნებს პირს და შორაპანთან ყვირილას უერთდება.

როდესაც რომელიმე მაღლობიდან მასივს დასცქერით, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ თითქოს მთელი ეს მხარე ერთ სიბრტყეშია მოკვეთილი, დასავლეთისაკენ სუსტი დახრით. ეს შთაბეჭდილება სრულიად ბუნებრივია და მას სავსებით ამართლებს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, აღნიშნულ რაიონის გეოლოგიური ისტორია.

სტრატეგრაფია. გადავდივართ რა რაიონის გეოლოგიური აგებულების განხილვაზე, პირველ რიგში მოგვიხსდება საუბარი კრისტალურ მასივზე, როგორც ჭირითად გეოლოგიურ სხეულზე. ლიტერატურაში ის ცნობილია ძირულის მასივის სახელწოდებით; უწოდებენ აგრეთვე იმერეთის მასივსაც. მასივს მთელი აგე-

ემილი ზოლის გასწვრივ რუკის ჩრდილო ნაწილი უჭირავს, მხოლოდ რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში—სოფ. ბენინევის მიდამოებში გამოჩნდება ის დანალექ ფორმაციების სამხრეთითაც. აქ მასივი, ნაწილობრივ პორფირიტების ძლიერი განფენით დაფარული, სამხრეთით საგრძნობ მანძილზე უნდა იყოს წარმოდგენილი, —დაახლოებით ჩხერიშელის ხეობამდე, როგორც ეს ჩანს ძველი შრომებიდან, უმთავრესად სიმონოვიჩის და სოროკინის წერილებიდან. იმავე ავტორების რუკიდან ჩანს, რომ ჩვენს რუკაზე წარმოდგენილი მასივის ზოლი ძირულის მასივის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია, ხოლო ცენტრული ნაწილი ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს*).

პეტროგრაფიულად მასივი დიდ ინტერესს წარმოადგენს: აქ გვხვდება მრავალი სხვადასხვა სახის გრანიტი, გრანოდიორიტები, გაბრო, გნეისები, კრისტალური ფიქლები, აპლიტ-პეგმატიტების ძარღვები, კვარც-პორფირის და პორფირიტის ძარღვები და განფენები.

უკანასკნელ დრომდე გეოლოგიური და პეტროგრაფიული შესწავლის მხრივ ძირულის მასივი თითქმის ხელუხლებელი იყო. სიმონოვიჩის და სოროკინის შრომებში ვხვდებით მასივის პერიფერიული ნაწილების ზოგად აღწერას დაუკავშირებელი განკერძოებული ფაქტების გადმოცემით**). 1926 წ. აქ დაიწყო მუშაობა პროფ. ა. თვალჭრელიძემ და გ. სმირნოვმა. მათი მუშაობის შედეგები ჯერ გამოქვეყნებული არ არის***). მოკლედ აღწერს მასივის ნაწილს ყვირილის ხეობაში პროფ. ვ. ბოგაჩოვი ახლო ხანად გამოსულ წერილში****).

კრისტ. მასივი ჩვენს რუკაზე ერთი ფერიითაა წარმოდგენილი. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მასივს, როგორც გენეტიური თვალსაზრისით ერთ მთლიან ერთეულს. ნამდვილად მის შექმნაში განირჩევა მთელი რიგი ფაზებისა, რომელნიც უთუოდ ოროგენულ პროცესებთან არიან დაკავშირებული. პეტროგრაფიული სხვადასხვაობა მასივის ქანებისა უმთავრესად ამ გარემოებით აიხსნება.

ჩვენ ვიღებთ ჯერხნობით მასივს, როგორც ერთ მთლიან-სხეულს, რადგან იმ პალეოგეოგრაფიული და ისტორიული განვითარების სურათის აღსადგენად, რომელიც ყოველი გეოლოგიური გამოკვლევის საბოლოო მიზანს უნდა შეადგენდეს, —სწორედ ასეთი მიდგომაა აუცილებელი: იმ დროისათვის, საიდანაც არსებული ფაქტიური მასალის მიხედვით ხერხდება რაიონის ისტორიის გარკვევა, მასივი უკვე დასრულებულ სხეულს წარმოადგენდა.

*) Симонович и Сорокин. Геологическая карта части Кутаисской губ. *Материалы для геологии Кавказа*. 1887 г.

**) *Материалы для геологии Кавказа* 1885 г. 1886 г. 1892 г.—წერილები სიმონოვიჩისა და სოროკინის ჩხერიშელა-ძირულის ხეობების შესახებ.

***) უკანასკნელ ხანებში, ამ წერილის მოხსენების სახით წაითვის შემდეგ გამოქვეყნდა პროფ. გ. სმირნოვის მოკლე წერილი, სათაურით, — „Из геологических наблюдений в Шораланском уезде“ (Закавказ. Красвездч. сборник. 1930) 1. Изд. Зак. Коммунист. Университета). წერილი შეიცავს ბევრ საინტერესო დასკვნებს და ახალ ცნობებს.

****) იხ. „Геологический очерк Чатурского бассейна. Известия Азербайджанского Государственного Политехнического Института, выпуск 6-ой, 1929 г.).

ასეთი მიდგომა ნებას გვაძლევს გვერდი ავუაროთ პირველ ხანებში მაინც მასივის პეტროგრაფიულად დეტალურ შესწავლას. და ამ მხრივ დავეკმაყოფილდეთ ზოგადი ხასიათით, — ჩვენთვის მთავარია გეოლოგიური მხარე.

ძირითადი საკითხი, რომელიც ასეთი თვალსაზრისის მიხედვით ჩვენს წინაშე დაისმება, არის საკითხი მასივის ასაკის შესახებ. კავკასიონის და კერძოდ საქართველოს რეგიონალური გეოლოგიის ძირითად პრობლემათა თვალსაზრისით ეს მეტად აქტუალური საკითხი — უკანასკნელ დრომდე ღიად იყო. ძველ შრომებში გარკვეულ და დასაბუთებულ პასუხს ამ საკითხზე ვერ ვპოულობთ; ასე მაგალითად, სიმონოვიჩი და სოროკინი მხოლოდ აღნიშნავენ, რომ გრანიტები ძველია, რადგან ისინი შეადგენენ ფუძეს ყველა ახალგაზრდა ფორმაციებისას*). ბოგაჩოვი ზემოხსენებულ წერილში გაკვრით ეხება მასივის ასაკს, აღნიშნავს, — რომ მასივი იურის წინა დროისაა

ჩვენის აზრით მასივის წარმოშობის ზედა საზღვრად ჰერცინული დანაოქება უნდა მივიღოთ. ქვედა საზღვრის საკითხი ღიად რჩება. მასზე მსჯელობა ჯერჯერობით ჰიპოთეზური იქნება.

საჭიროა მოვიყვანოთ ის მთავარი ფაქტები და მოსაზრებანი, რომელნიც აღნიშნულ დებულებას სავსებით ნათელყოფენ.

ის გარემოება, რომ კრისტალურ მასივს ტრანსგრესიულად აძევს შუალიასის კირქვის ქვეშ მდებარე ქვიშაქვები და ქვ. ტუფიტები, — ამაზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, — უდაოდ ამტკიცებს მასივის ლიასამდე წარმოშობას.

ფაქტებით მტკიცდება, — ამასაც ქვემოთ დავინახავთ, — რომ მასივი ლიასის წინა დროს ხმელეთს წარმოადგენდა და გადარეცხას განიცდიდა. უდაოა, რომ ძირულის მასივი სიღრმის — აბისალური, ან ჰიპობაზისალური სხეულია, რომლის წარმოშობისათვის საჭირო იქნებოდა, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, გარკვეული სიღრმე მიწის ქერქის ზედაპირიდან. ჩანს, ქანების ის სერია, რომელიც ამ პირობას ქმნიდა, ლიასამდე ეროზიულ და დენუდაციურ პროცესებს გადაურეცხია. აქედან და სხვა ფაქტებიდან გამომდინარე მოსაზრებანი გვაფიქრებინებს, რომ აქ ტრიალის განმავლობაში, თუ მთლიანად არა მეტ წილად მაინც, ხმელეთის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ.

მასივი დასერილია ვარდისფერ ხშირად მუსკოვიტიანი გრანიტისაგან, რომელიც არსებითად განსხვავდება მასივის ძირითად გრანიტისაგან, პეგმატიტის, აგრეთვე აპლიტების და კვარც-პორფირების ძარღვებით. საერთო ხასიათი ამ ძარღვებისა, — მიმართება დაახლოებით პარალელის მიმართულების და მის მართობული, — მათ ტექტონურ წარმოშობას გვაფიქრებინებს. როგორც ჩანს მასივს განუცდია ძლიერი ტექტონური ზეგავლენა და მასთან, რაც მთავარია, — ამ გავლენას ლიასამდე ჰქონია ადგილი, რადგან ფუძე ქვედა ტუფიტებისა და მათზე ტრანსგრესიულად განლაგებული ლიასის ქვიშაქვის კონგლომერატი უმთავრესად ზემოდასახელებულ კრისტალურ ქანებისგან შესდგება. როგორც მიღებულია, ვულკანური მოვლენანი, ამ ცნების ფართე მნიშვნელო-

*) იხ. ზემოთ დასახელებული *Материалы для геологии Кавказа*.

მით, ოროგენულ პროცესებთანაა დაკავშირებული. კვარც-პორფირის ეფფუზი-
ვები *) და მისი შეჭრა მასივში ძარღვების სახით ალპიდური დანაოჭების ლია-
სის წინა ფაზას (ძველ-კიმერულს) კიდევ რომ დავუკავშიროთ,—რაც სავსებით
მოსალოდნელია,—თვით მასივის დანაოჭება, მასთან დაკავშირებით დანაპრალი-
ანება და მუსკოვიტიან გრანიტის პეგმატიტებითურთ შეჭრა მასივში სავსეა, რომ
ჰერცინული დანაოჭების უკანასკნელ ფაზებზე ახალგაზრდა იყოს. ამგვარად
სრულიად ბუნებრივია ძირულის მასივის ინტრუზიულ ფაზების ზედა საზღვრად
ჰერცინული დანაოჭების მიღება, ამაზე გვიან მის წარმოშობის შესაძლებლობას
არც ერთი ფაქტი და მოსაზრება არ ეთანხმება.

როგორც აღვნიშნეთ, მასივის შექმნაში რამოდენიმე ფაზა განირჩევა. სამ-
წუხაროდ, მათი ასაკის შესახებ ძირულის ხეობის აგეგმილი ნაწილი არავითარ
დასაყრდენ ფაქტიურ მასალას არ იძლევა. შეიძლება მხოლოდ გარკვევით აღი-
ნიშნოს, რომ მასივის ქანთა შორის უძველესია კრისტალური ფიქლები და გნე-
ისები, რომელნიც ნაფლეთების სახით, ძლიერ ტექტონურ ზეგავლენა განცილი-
ნი აქა-იქ გვხვდებიან. ჩვენ მათ შევხედით შრომაში მდ. კოტროულას ნაპირზე,
გეზრულის მარჯვენა ქედზე, სოფ. საწაბლესთან, საქასრიაში ძირულის მარჯვე-
ნა ქედზე, კაცხში უშუალოდ ლიასის წითელ კირქვებს ქვეშ და სხ. პროფ. ბო-
გაჩოვიც ყვირილის ხეობის გასწვრივ მრავალ ადგილას ხვდება დანაოჭებულ
გნეისებს და კრისტ. ფიქლებს და სხვათა შორის შესაძლებლად სცნობს ჩათვალოს
ისინი პალეოზოიკურად.

ქრონოლოგიურად შემდეგი მომდევნო ერთეული უნდა იყოს გრანიტები
და გრანიტ-გნეისები. მაგრამ გრანიტები გარეგნულად აქ მრავალგვარია, რო-
გორც რუხი—შედარებით მცირე რაოდენობით, ისე მოვარდისფრო, ბიოტიტი-
ანი, მსხვილი პორფილურ მინდვრის შპატებით. მათ გარდა დიდ როლს თა-
მაშობს გრანოდიორიტები და გაბრო. უკანასკნელის შესახებ კიდევ შეიძლება
თქმა, რომ ის დამოუკიდებელ ინტრუზიულ ფაზას წარმოადგენს და ჰყვეთს
ინტრუზიის ძირითად ქანებს—გრანიტებს და გრანიტ-გნეისებს, თვითონ-კი ახალ-
გაზრდა გრანიტისა და პეგმატიტების ძარღვებით იკვეთება,—მაგრამ პირველთა
შესახებ რისამე გარკვეულის იქმა ძნელია: სხვადასხვაობა მაგმური დიფერენცია-
ციის შედეგია და მაშასადამე გენეტიური თვალთაზრისით ერთ მთლიან ინტრუზი-
ასთან დაკავშირებული, თუ აქ დამოუკიდებელ განცალკევებულ ფაზებთან გვაქვს
საქმე, ამის გამოკვეთვა მომავალი კვლევის საქმეა. ჩვენთვის ამ საკითხების გა-
დაჭრა არ წარმოადგენდა პირდაპირ ამოცანას,—მხოლოდ გაკვრით გვიხდებო-
და მათი შეხება. შესაძლებელია, რომ მათ გადაწყვეტაზე ფიქრი მთლიანად მა-
სივის აგეგმამდე ნაადრევიც-კი იყოს.

მასივში მკაფიოდ განირჩევა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქანებზე ახალგა-
ზრდა, ვარდისფერი, ხშირად მუსკოვიტიანი გრანიტი ძარღვების სახით, რომე-
ლიც, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, უდაოდ ლიასის წინა დროისაა.

მეუღდგეთ ეხლა საკითხს ძირულის მასივის შესახებ სულ სხვა მხრივ. კავ-
კასიონის გეოლოგიური აგებულების ზოგადი ხასიათი ცხადად ამტკიცებს მის
ანტიკლინურ ბუნებას ქედის გასწვრივ, რომლის ლერძი ალმოსავლეთით და და-

*) აქ მხედველობაშია ლიასის წინადროინდელი კვარც-პორფირები. მათ გარდა რაიონში
ჯვრდება შედარებით ახალგაზრდა კვარც-პორფირებიც—დაახლოებით ზედა იურის დროის .

სავლეთით იძირება. ცენტრული კავკასიონი ამ ანტიკლინური ამალღების ქედს წარმოადგენს. აქ მის გაშიშვლებულ გულს ინტრუზიული ქანები ქმნიან. უკანასკნელი გამოკვლევებით, რომელნიც ნათლად აქვს შეჯამებული პროფ. გერასიმოვის თავის სინტეტიურ მიმოხილვაში,*) მტკიცდება, რომ ეს კრისტალური გული წარმოშობით ერთ გარკვეულ ასაკს ვერ მიეკუთვნება. აქ, კამბრიუმის წინადროინდელ კრისტ. ფიქლებს და გნეისებს ჰყვეთს ღია რუხი ფერის მიკროკლინიანი გრანიტები, რომელთა ასაკი ჰურონულ დანაოჭებას უკავშირდება. აქვე არის მეორე ტიპის, შედარებით ახალგაზრდა გრანიტები, ფერად წითელი, ან მორუხო-წითელი, რომელნიც მიკროკლინთან ერთად ორთოკლაზსაც შეიცავენ. მათი ინტრუზია მომხდარა არა უგვიანეს ჰერცინული დანაოჭების ქვედა კარბონული ფაზისა და შესაძლებელია კალედონურ დანაოჭებასთანაც იყოს დაკავშირებული. შემდეგი ფაზა ინტრუზიისა, ფუძური ქანებით წარმოდგენილი, ჰერცინული დანაოჭების შედარებით ახალგაზრდა ფაზებთან კავშირს გვაფიქრებინებს. ამათ გარდა იქ ცნობილია კერატოფირის დაიკები, იმავე დისლოკაციის უკანასკნელ ფაზებთან დაკავშირებული, და შედარებით ახალგაზრდა ეფფუზივები და ინტრუზივებიც უკვე იურის ასაკის-ლიასის და კალოვიურის წინა დროის.*) კიდევ უფრო ახალგაზრდა ვულკანური მოვლენები ამ შემთხვევაში ჩვენთვის ინტერესს არ წარმოადგენენ.

ამგვარად კავკასიონის კრისტალური გულის გეოლოგიური ისტორია კამბრიუმის წინა დროიდან იწყება და მისი განვითარება უმთავრესად პალეოზოიკურის—წინა და პალეოზოიკური დისლოკაციებით განისაზღვრება.

ძირულის მასივი დაახლოებით ერთ მერიდიონალურ ზოლშია ცენტრულ კავკასიონის მასივთან ერთად. აღმოსავლეთით მას ქართლის ველი უერთდება, ხოლო დასავლეთით კოლხიდის. ამ პარალელურ ზოლსაც ამოზნექილი სახე აქვს: აღმოსავლეთით და დასავლეთით დაბლობები, შუაში-კი ამართულია კრისტალური მასივი ეროზიის და დენუდაციის წყალობით საკმაო სივრცეზე ზედა სამოსისაგან განთავისუფლებული. დასავლეთით მასივი დიდ მანძილზე უნდა ვრცელდებოდეს, რასაც მოწმობს კოლხიდის ველის ტექტონიკის საერთო ხასიათი. უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიონის პალეოზოიკურში დანაოჭებული ფუძე, შემდეგში გაწყვეტილი, სამხრეთით ვრცელდებოდა და ძირულის მასივი სწორედ ამ ფუძის ტექტონურად ამოწეული ნაწილი ჯნდა იყოს.

ეს მოსაზრებანი არა ერთხელ ყოფილა წამოყენებული და განვითარებული პროფ. ალ. ჯანელიძის მიერ კავკასიონის და საქართველოს გეოლოგიის კურსის კითხვის დროს.

ამგვარად რეგიონალური მიდგომაც ძირულის მასივის სიძველის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

წამოყენებული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ძირულის მასივის ინტრუზიული ქანების პეტროგრაფიული ბუნება ანალოგიური უნდა იყოს მთავარ ხაზებში შიანც ცენტრ. კავკასიონის ქანების. ეს საკითხი მომავალი კვლე-

*) А. Герасимов, Обзор современных данных по геологии Северного Кавказа. Известия Геологического Комитета. т. 47, № 4, Ленинград 1928.

*) იხ. პროფ. გერასიმოვის ზემოდასახელებული წერილი.

ვის საქმეა. აქ ჩვენ ვისარგებლებთ პროფ. ალ. თვალჭრელიძის კეთილი დახმარებით, რომელმაც გაგვიზიარა თავისი ჯერ გამოუქვეყნებელი მუშაობის შედეგები. პროფ. ა. თვალჭრელიძე მიკროსკოპიული შესწავლით მართლაც დიდ პეტროგრაფიულ მსგავსებას პოულობს ორთავე მასივის გრანიტებს შორის.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ, რომ ლიასის წინა დროში ძირულის მასივი გარეცხას განიცდიდა. როგორც სჩანს, ის თითქმის მთლიანად განთავისფლდა იმ სამოსისაგან, რომელიც ალბად დანაოჭებულ პალეოზოიკურ ფორმაციებისაგან შესდგებოდა და გარკვეულ ნაწილში უთუოდ ინტრუზივის კონტაქტურ ზეგავლენას ვერ ასცდებოდა.

აგეგმილ ზოლის აღმოსავლეთ ნაწილში, სოფ. ბეინევიში, ვხდებით ძველი ფილიტების საკმაოდ სქელ სერიას, რომელიც ეროზიულ და დენუდაციურ პროცესებს გადაარჩენია, როგორც სინკლინის მულდაში მოქცეული.

აქ, მდ. ბეინეურის ღრმა ხეობა მშვენიერ განაკვეთს იძლევა სტრატეგრაფიული და ტექტონური საკითხების გასარკვევად; ფილიტებს ძლიერი კუთხური უთანხმოებით, როგორც ეს ჩანს წარმოდგენილ განაკვეთზე, ლიასის ფორმაცია აძევს, რომლის ფუძე მეტ წილად ფილიტების ხარჯზეა წარმომობილი.

ლითოლოგიურად ფილიტების წყება წარმოდგენილია მოშავო და მუქი რუხი ფერის ფიქლებით. მათ ახასიათებს აბრეშუმისებური ელვარება ფიქლებრივობის სიბრტყეებზე, ძლიერი ნაპრალიანობა და ფურცლებრივი განწევრება. ფიქლებრივობა თითქმის უთანხმდება შრეობრივობას. ამ წყებას ხშირად ჰკვეთს კვარცის წვრილი ძარღვები. ფიქლებში ვხვდებით, ტალკისა და ასბესტის ძარღვები. წყების სისქე მდ. ბეინეურას გასწვრივ გაშიშვლებულ ზოლში დაახლოებით 350-400 მეტრი იქნება.

მასივის და ფილიტების ურთიერთობა (ფილიტის ქსენოლიტები გრანიტში, რაც შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად გაირჩევა, გრანიტის საერთო ხასიათი — კონტაქტთან წმინდა მარცვლიანობა, ხოლო მოშორებით თანდათან გამსხვილება) გვაფიქრებინებს ფილიტების სიძველეს მასივის ამ ნაწილთან შედარებით და პირვანდელი თიხის ფიქლების გაფილიტებას ინტრუზიის ზეგავლენით.

სამწუხაროდ ფილიტების თითქმის ერთფეროვან სერიაში რაიმე ორგანოსანი ნაშთები არ მოიპოვება, რომ შეიძლებოდეს მისი დათარიღება. ფილიტები უდავოდ პალეოზოიკურია, მაგრამ მისი ასაკის უფრო ვიწროდ შემოფარგვლა ჯერხნობით შეუძლებელია.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც ფილიტების მასივთან შედარებით სიძველეზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ მასივის ამ ნაწილს, ამ შემთხვევაში ნაწილობრივ წაგენისო სტრუქტურის გრანიტების წარმომადგენელიც უმთავრესად კონტაქტს ქმნის, ეს გარემოება, რა თქმა უნდა, აქცევს მასივს უფრო ახალს, რა თქმა უნდა, როდესაც საკმაოდ საბუთუნოა იმ დებულების ხათელსაყოფად, რომ ძირულის მასივი ვინტურად ერთ მთლიან ერთეულად არ მივიჩნევთ. მოსალოდნელია ზოგიერთი უბნები მის წარმომადგენელ ფილიტებზე ძველი აღმონებებს, ასეთი შესაძლებლობა

ცხადია არსებობს. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ფილიტები თვისი სუსტი მეტამორფიზმით არსებითად განსხვავდებიან იმ ძლიერ მეტამორფული კრისტალური ფიქლებისაგან, რომელნიც მასივში აქა-იქ გვხვდებიან. კერძოდ ბუინეის მახლობლად საქასრიაში, ძირულის მარჯვენა მხარეზე ძლიერ მეტამორფული ქანები გნეისებით და ქარსიან ფიქლებითაა წარმოდგენილი.

შროშის რაიონში მასივს თავზე აძევს ტუფიტები, რომელთაც შუა იუროს ტუფოგენურ ფორმაციისაგან განსხვავებულად ჩვენ ქვედა ტუფიტებს ვუწოდებთ. აგებულებით კლასტიური ხასიათის, — ტუფიტები საკმაოდ მკვრივია, ხშირად არა ცხადიდ შრეებრივი და ცვალებადი სისქის. სჭარბობს ღია ფერები. ხშირად შეიცავს მინდვრის შპატს და კვარცს. მისი პეტროგრაფიული ბუნება ჯერ შეუსწავლელია. ტუფიტებში მოქცეულია ქვიშიანი თიხის ლინზები და ქვიშაქვის შრეები, — ალავ კონგლომერატული ხასიათის, ეს უკანასკნელი ბლომად შეიცავენ გაქვავებულ მცენარეებს, — ხეების დიამეტრი ხშირად ნახევარ მეტრს აღემატება.

აღმოსავლეთისკენ აღნიშნული სერია სწრაფად ისოლება, — ეს მოვლენა სისქის ცვალებადობასთან ერთად ნაწილობრივ ტექტონური ხასიათისაა. დასავლეთისკენ იგი აგეგმილ რაიონს სცილდება.

მაკროსკოპიული განხილვა ტუფიტებისა გვაფიქრებინებს ამ წყების კავშირს მთავრად ხასიათის ეფუზივებთან. მასთან მათი საერთო ხასიათი, — ქვიშაქვები თიხებით და გაკაჟებული მცენარეებით, ზღვის ნამარხების უქონლობა და ცვალებადი სისქე, — ცხადად მოწმობს ამ ფორმაციის კონტინენტურ წარმოშობას.

ასაკის შესახებ უნდა ითქვას, რომ გარკვევით შუა ლიასის წინა დროისაა და მასთან მასივზე გაცილებით ახალგაზრდა, რასაც ნათლად ამტკიცებს გრანიტული მასივის ნაგორები მასალის არსებობა მასში. აქედან გამომდინარე მოსაზრებანი გვაფიქრებინებს, რომ ეს სერია ტრიასზე აღრინდელი არ შეიძლება იყოს.

აქ საჭირო იქნება აღვნიშნოთ, რომ შუა ლიასის წინა დროში აგეგმილ რაიონს ვულკანური მოვლენების გაცხოველება ემჩნევა, — ამას ხომ ტუფიტების წარმოშობაც ცხადად ამტკიცებს. ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს პეტროგრაფიულად ჯერ შეუსწავლელი ვულკანური განფენის წარმოშობა, რომელიც ყვირილის ხეობაში მოქცეულია ქვ. ტუფიტებსა და გრანიტულ მასივს შორის. ეს განფენი თვისი მუქი ფერით მკაფიოდ გამოიყოფა და გარკვეულ, სამხრეთისკენ დაქანებულ ზოლად გადაუყვება ყვირილის ორივე ფერდობს. ხშირია მის ცალკე ნაწილებში ტუფური ხასიათი, — მანდელშტეინები, ლაპილები და კლასტური ბუნება. შესაძლებელია, ქვ. ტუფიტები გენეტიურად ამ განფენთან იყოს დაკავშირებული. მოსალოდნელია აგრეთვე, რომ ლიასის წინადროინდელ კვარცპორფირების წარმოშობაც ამავე დროს ეკუთვნოდეს. ამ საკითხებს უთუოდ ქანების პეტროგრაფიული შესწავლა გადასწყვეტს.

ტუფიტებს ტრანსგრესიულად თავზე აძევს ქვიშაქვა ძლიერ ცვალებადი სისქის და შედგენილობის. იწყება ყველგან ეს წყება კონგლომერატით, რომელიც მასივის ნაგორებ მასალასთან ერთად ქვ. ტუფიტების ნაგორებ და ნახევრადნაგორებ, ბრექჩიულ ნაკრებსაც ბლომად შეიცავს. მისი ტრანსგრესიულობა ნა-

წილობრივ სტრატეგრაფიულია. ხშირია მორიგეობა წმინდა მარცვლიან, ქარხიან ქვიშაქვის და კონგლომერატულ კვარციანის, თიხის ცემენტით. შეიცავს თიხის ლინზებს რომელიც მაღალი თვისებების გამო ცეცხლ-გამძლე აგურს იძლევა. ეს სწორედ ის ცეცხლ-გამძლე თიხებია, რომელთა ექსპლოატაცია ამჟამად სწარმოებს შრომის რაიონში. თიხის ლინზები შეიცავენ განახშირებულ მცენარეებს, — ხშირად ეს უკანასკნელი ტიპური ქვანახშირის ხასიათისაა და რაოდენობით ალავ კიდევ სჭარბობს თიხას. თიხაში დაცული მცენარეულობის ნაშთთაგან აღსანიშნავია გვიმბრები.

აგეგმილი ზოლის აღმოსავლეთ ნაწილში ქვიშაქვა უშუალოდ კრისტალურ მასივს აძევს. ამ სერიის ზედა ნაწილებში ჩვენ მიერ ნაპოვნია ამონიტი, რამოდენიმე ორსაგდულიანი და ბელემნიტი. ეს გარემოება ფაციალურ ხასიათთან ერთად ცხადად მოწმობს ქვიშაქვია თანდათან გადასვლას აშკარა ზღვის ფაციესში.

ამ ფორმაციასთან, რომლის ასაკს ჩვენ პირობითად ქვედა ლიასით ვსაზღვრავთ, უეჭველად დაკავშირებულია ზღვის ტრანსგრესია გამოკვლეულ რაიონში.

ქვიშაქვა თანდათან გადადის წითელ მკვრივ მარმარილოსებურ კირქვაში, რომელიც მთელ აგეგმილ რაიონს მკაფიო ზოლად გადაუყვება. აღმოსავლეთ ნაწილში ეს ზოლი ხშირ ვაწყვეტას განიცილის ტექტონურ პროცესების გამო. შემდეგ მდ: ქედაურას და საქასრულას შორის ის, ისე როგორც მისი მომდევნო ფორმაცია, ცარციით იფარება, საქასრულას მარჯვენა ფერდზე კვლავ გამოჩნდება და გრძელდება რუკის აღმოსავლეთ საზღვრამდე.

დამახასიათებელია, რომ ქვიშაქვის ზედა ზონას ემჩნევა „ფაციესთა კილილი“: კირქვა საკმაოდ ქვიშიანი და ჰემატიტის წვრილ კენჭებიანი, ჯერ პატარა ლინზებად ჩნდება შიგადაშიგ ქვიშაქვაში და შემდეგ - კი თანდათანობით გადადის ტიპიურ კირქვაში, რომელიც რკინის ენაგის გამო ინტენსიურ წითელ ფერადაა შეფერილი. ამ მოვლენის მშვენიერ სურათს იძლევა მდ. ძირულა სოფ. შრომის სკოლასთან.

წითელი კირქვის სერიაში ხშირია თიხიანი კირქვის შრეები, რუხ-მოლურჯო და მოიხფრო ფერის.

საკიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევებოთ ამ ფორმაციის ფაციესს საქასრულა-ბჟინევის რაიონში. აქ დიდ როლს თამაშობს რუხი და მოშავო კრისტალური კირქვები, რომელთაც ემჩნევა მორიგეობა შავ და მოშავო წვრილმარცვლოვან ქვიშიანი და მსხვილმარცვლიანი, შედარებით ღია ფერის, შრეების. წითელი ფარულ-კრისტალური კირქვა მხოლოდ ზედა ზოლშია. ქვიშაქვაც განსხვავებულია: ძირის ბრეჭიულ-კონგლომერატის გამოკლებით, ის ლითოლოგიურად კირიან ბუქ ქვიშაქვას უახლოვდება, ნაწილობრივ ქვიშიან კირქვასაც. აღსანიშნავია, რომ მდ. ბჟინეურის ხეობაში წითელი კირქვის სერიის ქვედა ნაწილში, რომელიც ნაწილობრივ შრომის კვარციან ქვიშაქვის სტრატეგრაფიულ ეკვივალენტად შეიძლება მივილოთ, — გააოერევა ბრეჭიის შრე, რომელიც მის ქვეშ მდებარე შრეების გადამუშავებულ მასალას შეიცავს: კონგლომერატულ ბრეჭიას, რომელიც უმთავრესად ფილიტების და კვარც-პორფირის ნატეხებს შეიცავს, აძევს

მუქი, კირიანი ქვიშაქვების და კირქვების შრეები, შემდეგ აღნიშნული ბრექჩია სისქით 5 მეტრამდე, და ამ უკანასკნელს-კი მოთეთრო და რუხ-მოიისფრო კრისტალური კირქვები. ჩანს აქ ზღვის ფსკერის ადგილობრივი მნიშვნელობის ამოწვევას ჰქონია ადგილი.

შროშის ფაციესის ანალოგიურია კაცხის წითელი კირქვა, რომელიც ყვირილის ხეობაში მალაღ, შვეულ კედლად დაჰყურებს სადგურ სალიეთს, იმ განსხვავებით, რომ აქ კირქვა შედარებით სქელია, მისი სისქე რამოდენიმე ათეულ მეტრით და შეიძლება ასეულითაც განიზომება. მასთან ის უშუალოდ მასივს აძევს, ყოველ შემთხვევაში ფუძის კონგლომერატი ძლიერ თხელია. აღსანიშნავია, რომ კაცხის წითელ კირქვაში კარსტული მოვლენები არის განვითარებული: ძაბრები და სასულეები სალიეთის ქედზე.

საინტერესოა წით. კირქვის ასაკის საკითხი. ა ბ ი ხ ი და ს ი მ ო ნ ო ვ ი - ჩ ი ც მას ოქსფორდს მიაკუთვნებდენ. ფ უ რ ნ ი ე უ ა რ ყ ო დ ა ამ შეხედულებას და წითელ კირქვას ბაიოსურად სთვლიდა. ნ ე ი მ ა ი ე რ ი და უ ლ ი გ ი - კ ი გამოთქვამდენ აზრს მისი შუა-ლიასური ასაკის შესახებ. ჩვენ მიერ შეგროვილი ფაუნა ამართლებს ნ ე ი მ ა ი ე რ — უ ლ ი გ ი ს შეხედულებას და ვფიქრობთ, საბოლოოდაც სწვეტს ამ საკითხს. ძირულის კალაპოტში ე. წ. სამების ხიდან, შევხვდით Amaltheus-ების მრავალრიცხოვან ფაუნას—რამოდენიმე ასეულ ექვმპლიარს, რაც საბუთს გვაძლევს წითელი კირქვა შუა ლიასს მივაკუთვნოთ. სამწუხაროდ ამ ფაუნის დამუშავება მხოლოდ დაწყების სტადიაშია და გარკვეულ სახეებს ჯერ ვერ გამოვყოფთ, მაგრამ სტრატიგრაფიულ საკითხისათვის არსებითია თვით გვარ Amaltheus-ის არსებობაც: იგი შუა ლიასის ზედა ზონებშია მხოლოდ ცნობილი. გარდა Amaltheus-ებისა წითელ კირქვაში შეგროვილია მდიდარი ფაუნა, საერთო ხასიათით ლიასის: Cephalopod-ებიდან:—Phylloceras Lytoceras, რამოდენიმე გვარი Harpoceratid-ებიდან და მთელი რიგი ჯერ გაურკვეველი გვარები; მასთან უამრავი ბელემნიტები, ორსავდელუიანები, ბრაქიოპოდები (Rhynchonell-ები, Terebratul-ები, Spiriferinae-ები და სხვა), კრინოიდები და ღრუბლები. საზოგადოდ ეს ფორმაცია ფაუნით მეტად მდიდარია. დამახასიათებელია სტრატიგრაფიული თვალთაზრისით Spiriferina-ის არსებობაც: ეს გვარი საბოლოოდ ლიასში ისპობა და შუა იურაში აღარ გადადის.

სტრატიგრაფიული და კუთხური უთანხმოებით შუა ლიასის კირქვებს ტრანსგრესიულად თავზე აძევს ტუფიტების ძლიერი სერია, რომელსაც მეორე ანუ ზედა ტუფიტებს ვუწოდებთ. აღნიშნულ ფორმაციას ჩვენს რაიონში დიდი სივრცე უქირავს. იწყება ყველგან ეს სერია ტუფბრექჩიით, რომელშიდაც ბლომადაა წითელი კირქვის ბრექჩიული ნაქრებიც, ხშირად საკმაო სიდიდის.

ლითოლოგიური მხრივ ამ ფორმაციაში მორიგეობაა ტუფბრექჩიების, პორფირიტების განფენების და ტუფ-ქვიშაქვების. ეს უკანასკნელი, საკმაოდ მკვირივი, გვხვდება როგორც წმინდამარცვლოვანი, ისე მსხვილმარცვლოვანი სახის. პორფირიტები განფენების გარდა ხშირად ძარღვების სახითაა. მათი ძარღვებით უხვად იკვეთება აგრეთვე კრისტალური მასივი და ძველი დანალექი ფორმაციები (ქვ. ტუფიტები, ქვიშა-ქვა და წით. კირქვა). ხშირია პორფირიტებში და

ტუფ-ბრექჩიებში ცეოლიტის, კალციტის და სხვა მინერალების წვრილი ძარ-
ღებები.

ამ ფორმაციის საერთო ხასიათი,—ტუფიტებისა და განფენების მორიგეობა და მასთან სერიის დიდი სისქე,—უდავოდ მოწმობს ვულკანური მოვლენების დიდ აქტივობას იმ დროში.

ძირულის ხეობის ტუფიტების სერიაში უკანასკნელ დრომდე ნამარხები არ იყო ცნობილი. მისი ასაკის გამოსარკვევად ძველი მკვლევარები სტრატეგრაფიულ მეთოდს მიმართავენ. ა ბ ი ხ ი მასაც ოქსფორდს მიაკუთვნებდა, სიმონო-ვიჩი-კი—კიმერიჯულს.

ზედა ტუფიტებში ჩვენ ვიპოვნეთ ფაუნა,—პირველად ძირულის კალაპოტ-ში წითელ კირქვაზე მდებარე ტუფ-ბრექჩიაში და შემდეგ სოფ. სამებაში—„ორ-თამის ლელე“-ში. ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს ამ ფორმაციის ზღვისიერ წარმოშობას. ტუფიტებში ნაპოვნი ფაუნა შეიცავს ორსაგდულიანებს, 3 თუ 4 გვარს ამონიტებიდან,—*Phylloceras*, *Lytoceras*, *Stephanoceras* (მათ შორის *Stephanoceras aff. Freycineti* Bayle—პროფ. ალ. ჯანელიძის განსაზღვრით) —, რამოდენიმე ბელემნიტს და *Rhynchonellas*-ს.

განხილულ სერიის ასაკის მტკიცედ განსაზღვრა ფაუნის საბოლოო შესწავლამდე უნდა გადავსდეთ. აქ-კი გამოვსთქვამთ მოსაზრებას, რომ ეს ფორმაცია შუა იურას, კიდევ უფრო ვიწროდ—ბაიოსს უნდა ეკუთვნოდეს. ეს მოსაზრება შემდეგ ფაქტებს ემყარება: რაჭაში პროფ. ალ. ჯანელიძის მიერ ნაპოვნი და აღწერილია კალციტის ფაუნა, რომლის შემცველი ფორმაცია ტრანსგრესიულად აძევს პორფირიტების სერიას; ეს უკანასკნელი, როგორც ლიასის ფორმაციაზე ახალგაზრდა, უდაოდ შუა იურას მიეკუთვნება. რაჭის პორფირიტების სერია უწყვეტი ზოლით უკავშირდება ოკრიბის ანალოგიურ სერიას*). გეოლოგი ბ. მეფერტიც, ემყარება რა ნაპოვნი ფაუნას, მათ შორის — *Parinsonia Parinsoni*) პორფირიტების სერიას შუა იურას მიაკუთვნებს**). ოკრიბის პორფირიტების სერია აღმოსავლეთით დიდზე ვრცელდება, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ახალგაზრდა ფორმაციებით იფარება. სავსებით მოსალოდნელია, ყვირილის ხეობის ტუფიტები ოკრიბის სერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარძელებას წარმოადგენდეს. მასთან აღსანიშნავია, რომ რაჭის კალციენი და ოქსფორდი ვულკანურ მოვლენებს არ შეიცავენ. — აღნიშნული გარემოებანი გვაფიქრებინებენ, ჩვენი ზედა ტუფიტების სერიაც შუა იურას მივაკუთვნოთ, პირობითად ბაიოსს.

გამოკვლეულ რაიონში ზედა იურის ნალექები არ გვხვდება. აღსანიშნავია შუა იურის სერიაზე უთანხმოდ განლაგებულ ცარცის წინადროინდელ პორფირიტულ განფენების და გამკვეთ ძარღვების არსებობა, რომელნიც გენეტურად ზედა იურის ოროგენულ პროცესებს შეიძლება დავუკავშიროთ. (რუკაზე ეს განფენები ცალკე ნიშნითაა გამოყოფილი).

) პროფ. ალ. ჯანელიძე: გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარევი.

ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე 1926 წ.

***) Б. Ф. Мефферт. „Геологический очерк Лечхума“. Изд. Геологич. Комит.

მთელ ზემოთ ჩამოთვლილ ფორმაციებზე ძლიერი კუთხური უთანხმოებით განლაგებულია ცარცის ნალექების სერია.

ცარცი ჩვენს რუკაზე ერთი ნიშნითაა წარმოდგენილი. ეს იმიტომ, რომ ჩვენ მიერ შესრულებული მარშრუტების მცირე რიცხვი არ კმარა ცალკე საერთოების კონტურების შემოსავლებად, სათანადო სიზუსტის დაურღვევლად. მუშაობის პირობები ნებას არ გვაძლევდა ამ უკანასკნელი სამუშაოსათვის მეტი დრო დაგვეთმო. მთელი ყურადღება მიპყრობილი გვქონდა მთავარი მარშრუტების (მდ. ქვადაურის და საქასრულის გასწვრივ) სტრატиграფიული განაკვეთის შედგენაზე და სათანადო პალეონტოლოგიური მასალის დაგროვებაზე, თუმცა ადგილის სიშორე (სიარული გვიხდებოდა შროშიდან) ამ მუშაობასაც ძლიერ ზღუდავდა. მასთან, დაგროვილი ფაუნა შესწავლის მხრივ ჯერ სრულიად ხელუხლებელია და, ცხადია, საერთოების გამოყოფა მტკიცე ობიექტურ საფუძვლებს მოკლებული იქნება.

საკუთრივ შრეში მიდამოებში ცარცის მხოლოდ პატარა ნაფლებებია. აქ, ე. წ. „სამყურის წვერ“-ზე იგი ტრანსგრესიულადაა განლაგებული ნაწილობრივ იურის ფორმაციებზე, ნაწილობრივ კი კრისტალურ მასივზე; იწყება ფუძის კონგლომერატით, რომელშიაც უმთავრესად პორფირიტების და სხვა პორფირული ქანების გამოფიტული ნაგორები ქვები გვხვდება, იშვიათად მასივის ძირითადი ქანების და კვარცის.

ფუძის კონგლომერატს უშუალოდ აძევს მკვრივი, ქვიშიანი, ხშირად გაკაყებული, მოყვითლო კირქვა, სისქით 3-4 მეტრამდე. ნამარხები მასში, გარდა ორიოდვე გასტროპოდისა, არ გვიპოვნია. ყვითელ კირქვას მოსდევს თეთრი, მორუხო ელფერით, ფარულ-კრისტალური, ძლიერ მკვრივი კირქვა, რომელიც უხვად შეიცავს ნამარხებს—უმთავრესად კაპროტინებს. ეს სწორედ ის კაპროტინებიანი კირქვაა, რომელიც ძლიერ გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ქვედა ცარცში და რომელსაც ჩვეულებრივად ურგონისკირქვებს უწოდებენ. მისი სისქე აქ 4-5 მეტრს არ აღემატება. კაპროტინებიანი კირქვას აძევს ოსტრეებიანი მერგელოვანი კირქვა *Ostrea Latissima*-თი და შემდეგ დაიწყება მერგელები მდიდარი ფაუნით. მერგელების ზედა ნაწილში გამოიჩენება გლაუკონიტიანი შრეები—ნაწილობრივ კირიან-თიხიან ქვიშაქვის სახის. თავდება აქ ცარცი ქვიშიან რუხი მერგელით, რომლის ზედაპირი (ნიადაგად ქცეული) მოფენილია კვარცის და ვულკანურ ქანების ნაგორები ქვებით. საერთო სისქე სამების ცარცის ნალექებისა დაახლოებით 60-70 მეტრია.

ცარცი ყველგან, სადაც-კი მას შევხვდით, ზემოთ აღნიშნულის ანალოგიური კონგლომერატით იწყება. ამ მოვლენის ტიპური ადგილებია ლორეში—ქვადაურის ნაპირები, საქასრიაში—ძირულის ფერდობები, სოფ. ამაშუკეთი, ბორითი და სხვა. მასთან, თითქმის ყველგან კონგლომერატს თავზე აძევს, მეტ-ნაკლებად ქვიშიანი, მკვრივი, უნამარხო კირქვა, ალავ ყვითელი ალავ მოვარდისფრო, სისქე მისი ცვალებადია—იცვლება 1-3 მეტრამდე, იშვიათად აღწევს 4 მეტრს, და შემდეგ ამ უკანასკნელს უშუალოდ კაპროტინებიანი კირქვა მოჰყვება.

თუმცა კაპროტინებიან კირქვის ქვეშედად შრეებში ნამარხები ძლიერი შვიათია და მათ დასათარიღებლად მასალა არ მოგვეპოვება, მაგრამ მცირე სისქე და თანხმობითი გადასვლა ურგონის კირქვაში, სრულ საბუთს გვაძლევს. მივაკუთვნოთ ეს ნაწილიც ნეოკომიენს, არა უგვიანეს პოტერიულისა, შესაძლებელია, რა თქმა უნდა, ბარემულსაც კი ეკუთვნოდეს. მისი ტრანსგრესიულიობა ნეოკომიენის ტრანსგრესიის უღაო მაჩვენებელია.

ამგვარად ძირულის ხეობაში, ისე როგორც რაჭაში, სადაც ეს პროფ. ალ. ჯანელიძემ პირველმა დაადგინა, — ნათელი სურათია ნეოკომიენის ტრანსგრესიის*)

საესებით ცხადი ხდება ამის შემდეგ მიუღებლობა ბ. მეფერტის დებულებისა, — დასავლეთ საქართველოში არსად ნეოკომიენის ტრანსგრესიის არ არსებობის შესახებ; მეფერტის აზრით ტრანსგრესია ნეოკომური კი არაა, არამედ ტიტონური.**)

ურგონის კირქვებს ჩვენს რაიონში ყველგან მერგელოვანი კირქვა *Ostrea Latissima*-თი და შემდეგ მერგელები მოსდევს, რომელიც დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონების ანალოგიურ ფაციესის სტრატეგრაფიული ეკვივალენცია და რომელთაც საზოგადოდ აპტს მიაკუთვნებენ (პროფ. ალ. ჯანელიძე გეოლ. ბ. მეფერტი, პროფ. ვ. ბოგაჩოვი).

საზღვრის გავლება ჯერხნობით ფაუნის შესწავლამდე მოუხერხებელი ხდება. აპტის მერგელებში მორიგეობაა შედარებით მკვირივი, ღია ფერის კირქვიან შრეების და რუხი მერგელების; ხშირია გლაუკონიტიანი თიხები და ქვიშიან-გლაუკონიტიანი მერგელები. შრეები ნამარხებით ძლიერ მდიდარია: უხვადაა ამონიტები, რომელთაგან აღსანიშნავია სიმრავლე თავისებურ განხვეულ გვარის, რომელიც რაჭის ანალოგიურ ფორმაციაში აღწერა პირველად პროფ. ალ. ჯანელიძემ, — *Colchidites Djanel.* — შემდეგ ბელემნიტები, ორსაგდულიანები, გასტროპოდები და ბრაქიოპოდები.

მერგელებს გლაუკონიტიანი ქვიშაქვები მოჰყვება. მათი ურთიერთობა ქვეშედად შრეებთან არ არის ნათელი. გაურკვეველი რჩება კერძოდ ალბურის საზღვრები: აპტის მერგელების მომდევნო გლაუკონიტიანი შრეები ამ უკანასკნელს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ საზღვრების გავლება და განსაკუთრებით ზედასი, მოითხოვს დამატებით მუშაობას.

გლაუკონიტიანი ქვიშაქვები ბლომად შეიცავენ ვულკანურ ელემენტებს; მათ გარკვეულ ზოლში ყველგან, სადაც-კი ქვიშა-ქვებს ვხვდებით ან მათი გარეცხვა შედარებით ახალი დროის საქმეა, — ვეებერთელა ლოდებია ვულკანურ პორფირულ ქანის. ძნელი სათქმელია, — მთლიან განფენთან გვაქს საქმე, თუ ეს ლოდები ვულკანური ბრეჩიის სახისაა, — ამ მიმართულებითაც დამატებითი კვლევები იქნება საჭირო.

ქვიშაქვებს შესცვლის გლაუკონიტიანი მკვირივი კირქვა, რომელიც ქვედა ნაწილში უხვად შეიცავს კვარცის საკმაოდ მოზრდილ ნაგორებ კენჭებს. თვით

*) იხ. წერილი პროფ. ა. ჯანელიძისა ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე-ში, 1926 წ.

**) იხ. Б. Ф. Мефферт. „Геологические исследования в Рачинском уезде Запад. Грузии в 1928 г.“ Изд. геолог. Комит. 1930 г.—გვ.111.

კირქვა ძლიერ ქვიშიანია, გლაუკონიტიანი, და ალავ თიხიანიც; ბლომად შეიცავს Echinoid-ების რადიოლებს, განსაკუთრებით ზედა ნაწილში, რის გამო მას რადიოლებიან კირქვას ვუწოდებთ. შედარებით სუსტად წარმოდგენილი სოფ. სალანძილეში (საქასრულას გასწვრივ), იგი ძლიერ განვითარებულია ლორეშაში და განსაკუთრებით ლაშე — ხარაგაულს შუა (ჩხერიმელის ხეობაში), სადაც მუშაობის უკანასკნელ დღეებში მოგვიხდა გავლა.

რადიოლებიან კირქვას და მის ზევით მომდევნო თიხოვან კირქვის თხელ შრეებს აძევს მოვარდისფრო, შრეებრივი საკმაოდ მკვრივი კირქვა კაჟის კონკრეციებით და ერთგან განამარხებული ხითაც (საქასრიაში). მას სცვლის მერგელოვანი თეთრი კირქვა — და ეს უკანასკნელი — კი თანდათან გადასვლით თავდება ტურონ-სენონის მასივური სახის კირქვით. სწორედ ამ კირქვისაგან შედგება ორივე მაღალი მწვერვალი, რომელნიც ამაყად დაჰყურებენ სოფ. ამაშუკეთს ძირულის მარცხენა მხარეზე. ტურონ-სენონის კირქვებში ნამარხები საკმაოდ იშვიათია, — ჩვენ შევხვდით მხოლოდ რამოდენიმე *Micraster*-ს, *Echinocorys*-ს და ორსაგდულიანს.


ყვირილის ხეობაში, სალიეთ-კაცხის მიდამოებში, როგორც ეს აღნიშნული აქვს პროფ. ვ. ბოგაჩოვსაც, არც ურგონის კირქვები, არც აპტის მერგელები და ამ ეს უკანასკნელის მომდევნო გლაუკონიტიანი ქვიშა-ქვები არ სჩანან. აქ, ნაწილობრივ უშუალოდ მასივზე და ნაწილობრივ-კი იურის ფორმაციებზე განლაგებულია ტრანსგრესიულად ზედა კირქვების სერია, მდებარე თითქმის პორიზონტულად-იწყება ეს სერია კონგლომერატით და წვირლ ნაგორებ კენჭებიან, ცვალებადი სისქის, ალავ რამოდენიმე შრით წარმოდგენილ, მკვრივი ქვიშიანი კირქვით. ამ უკანასკნელს მოსდევს მოვარდისფრო შრეები და შემდეგ თეთრი მერგელებრივი კირქვები — კაჟის კონკრეციებით და ბოლოს თავდება სერია მასივურ, ნაწილობრივ ქვიშიანი კირქვებით. როგორც სჩანს ლითოლოგიური მხრივ სრული ანალოგიაა ამაშუკეთის ზედა კირქვების სერიასთან. კაცხში კაჟიან შრეებში ბლომდაა გაკაჟებული *Micraster*-ები *Echinocorys*, *Ananchytes* და სხვა; ზედა შრეებში — *Belemnites mucronata*, ხოლო მასიურ კირქვაში — აქაიქ გვხვდება *Inoceramus*-ები, *Ostrea* და *Echinoidae*-ები. სხვათა შორის ვ. ბოგაჩოვი სალიეთის მახლობლად აღნიშნავს აპტის მერგელების არსებობას, რომელნიც აქ ლიასის წითელ კირქვის ქვეშ არიან თითქოს მოქცეული *). ასეთი ადგილი ჩვენ არსად შეგვხვედრია სალიეთის მიდამოებში.

თვით სალიეთთან ლიასის კირქვა გრანიტებს აძევს თავზე და მასზე პორიზონტულადაა განლაგებული ზედა ცარცის კაჟიანი შრეები. (იხ. ნახ. 1. — კაცხ-სალიეთის მიდამოების გეოლოგ. რუკა და განაკვეთი). შესაძლებელია ბოგაჩოვის მიერ შენიშნული საინტერესო ფაქტი ჩვენი რაიონის ვარეთ იყოს.

ცარცის პერიოდში ხარვეზს უნდა ჰქონდეს ადგილი. რადიოლებიან კირქვის და მის ქვეშა შრეების ურთიერთობა და ფაციალურ ხასიათი პირველის ტრანსგრესიულობას გვაფიქრებინებს. ეს მოვლენა ცხადად სჩანს ყვირილის ხეობაში, — აქ ქვედა ცარცი და მოყვლი სერია არა სჩანს. ანალოგიურ ხარვეზს

*) Проф. В. В. Богачев. Геологический очерк Чигатурского бассейна, Изв. Аз. Гос. Пол. Инст., 1929 г.

შესაძლებელია ჰქონდეს ადგილი რაჭა-ლეჩხუმის და ქუთაისის მიდამოების ცარცის ნალექებში, როგორც ეს სჩანს პროფ. ალ. ჯანელიძის და ბ. მეფერტის შრომების მიხედვით*). პროფ. ალ. ჯანელიძე გამოსოქვამს შესაძლებლობას სენომანური ტრანსგრესიის შესახებ. მტკიცე ობიექტური საფუძვლები ამ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად ჯერ არ არსებობს. საგულისხმოა, რომ ჰიათურის რაიონში, სადაც მეფერტის მიხედვით უდაოდ ტურონული ტრანსგრესიაა, პროფ. ვ. ბოგაჩოვი ზედა ცარცის კირქვების სერიის ქვედა ნაწილში ზედა სენომანიის ელემენტებს პოულობს.



ნახაზი 1.

კაცხ-სალიეთის მიდამოების გეოლოგ. რუკა.

- 1.—ტურონ-სენონის კირქვები. 2.—ქვიშაქვები.—ბაიოსი (?). 3.—წითელი კირქვები.—შუა ლიასი. 4.—კრისტალური მასივი. —.—შენასხლეტი.—ფლეკს-ნასხლეტი.

*) იხ. ზემოთ დასახელებული შრომები და ბ. მეფერტის წერილი: Геологич. исследов. в Кутаисск. и Ахалцих. уездах в 1923 г. "Извест. геологич. Комитета. 1924 г. № 7.

ს ი მ ო ნ ო ვ ი ჩ ი ც ჩხერიმელის ხეობის რადიოლებიან კირქვას სენომანი-
ენს მიაკუთვნებდა **). საფიქრებელია, რომ ტრანსგრესია მართლაც ნამდვილად
სენომანური აღმოჩნდეს. ამ საკითხს ამედი უნდა ვიჭონიოთ, რომ გადასწყვეტს
ქვადაურის და ჩხერიმელის ხეობების რადიოლებიან და ზედა კირქვების სერიის
ზედმიწვევითი შესწავლა.

ცარცის შემდეგ ჩვენს რაიონში დიდ ხარვეხს აქვს ადგილი. მესამეული
აგეგმილ რაიონში მხოლოდ მიოცენის სპანიოლონტელებიანი შრეებითაა წარმო-
დგენილი და ჰორიზონტულადაა განლაგებული იურის ნალექებზე, ან თვით მა-
სივზე.

სპანიოლონტელებიანი სერია, ლითოლოგიურად ქვიშაქვებით და ქვიშიან
კირქვებით წარმოდგენილი, გარკვეულად სანაპირო ხასიათისაა: შრეები თხელია,
ხშირია მიკროკონგლომერატები თავისივე გადამუშავებული მასალით, — ცხადად
სჩანს ხლართული შრეებრივობა. ამ სერიაში, — სპანიოლონტელებით მეტად მდი-
დარში, — შევხვდით ხერხემლიანების ძვლებსაც.

უფრო ახალგაზრდა ფორმაციები, ცნობილნი მოსაზღვრე-კოლხიდის ველზე,
— გამოკვლეულ რაიონში არ მოიპოვება.

მეოთხეული, ელუვიუმით და მდინარეების ნალექებით წარმოდგენილი, არ-
სად ჩვენს რაიონში მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს.

ბ მ ქ ბ ო ნ ი კ ა *)

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გამოკვლეული რაიონი ფართე რეგიონა-
ლური ხასიათის საკითხების, კერძოდ ტექონიკური მოვლენების, საბოლოო სა-
ხით გასარკვევად ძალიან მცირეა. ის მხოლოდ საშვალეობას გვაძლევს ამთავითვე
დავსვათ ზოგიერთი პრობლემები, რომელნიც შემდგომმა მუშაობამ და მეზობელი
რაიონების შესწავლამ უნდა გადასწყვიტოს.

აგეგმილი ნაწილის ტექტონიკური აგებულების ხასიათს სავესებით განსაზ-
ღერავს ძველი კრისტალური (გრანიტული) მასივის არსებობა; მისი გავლენა
ნათელი ხდება, როგორც ძველი წარმოშობის უდრეკ ფუძისა, რომელზედაც გან-
ლაგებულია მეზოზოიკური ერის დანალექი ფორმაციები.

ვამჩნევთ, როგორც ნაოქებრივს, ისე წყვეტითს დისლოკაციას. დანალექ
ფორმაციებში მთავარ როლს ნაოქებრივი დისლოკაცია თამაშობს, ხოლო მას-
ივეში-კი დიზიუნქტური; ცხადია, ამ უკანასკნელის ზეგავლენას დანალექი ქანე-
ბიც არ არიან მოკლებულნი.

ალბიდურის წინა დანაოქებათა მოვლენები ბურუსითაა მოცული; ცხადად
ჩანს ნხოლოდ ფილიტების წყების, რომელიც, როგორც დავინახეთ, მასივის გა-
ბატონებულ ქანებთან შედარებით უფრო ძველი უნდა იყოს, დანაოქების სიძვე-
ლე და იურის ფორმაციების დიდი კუთხური უთანხმოებით მასზე განლაგება:

***) იხ. А. Сорокин и С. О. Симонович, „Геология Кутаисской губер-
нии. Шорпанский уезд“. Матер. для геологии Кавказа 1885 г. и 1886 г.

*) წერილის ამ ნაწილში საუბარია მხოლოდ ძირულის ხეობის აგეგმილ ნაწილის ტექტო-
ნიკაზე, კაცხ-სალიეთის შესახებ ვკმაყოფილებით ნახაზე წარმოდგენილ განაკვეთით (იხ. ნახ. 1).

ფილიტების საერთო საშუალო მიმართებაა NO, დაქანება კი NW (დიდი კუთხით), მაშინ როდესაც იურის ნალექების მიმართებაა W.NW და დაქანება S.SW 30° — 40° კუთხით (იხ. განაკვეთი)

გრანიტისა და ფილიტების კონტაქტის სიბრტყეს დაახლოებით იგეთივე მიმართება—დაქანება ახასიათებს, როგორც ფილიტებს, ასე რომ განაკვეთში გრანიტი თავზე ექცევა ფილიტებს და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს უკანასკნელი მასივის ფუძეს უნდა წარმოაოგენდეს. თუმცა არსებითად ასეთი მოვლენა შესაძლებელია, მაგრამ არსებული ფაქტიური მასალის და ზოგიერთი მოსაზრებების მიხედვით, აქ უფრო მოსალოდნელია აღნიშნული მოვლენის ტექტონური პროცესებით ახსნა, როგორც ეს ჩვენ განაკვეთშია წარმოდგენილი.

ფიქლებრივობის ხასიათი და წოლის ელემენტები ფილიტებისა მოწმობენ საერთო ტანგენსურ დაწოლას NW-დან SO-კენ (რა თქმა უნდა მოსალოდნელია წინააღმდეგიც), რასაც უთუოდ შედეგად მოჰყვა გრანიტული მასივის მოძრაობა შესაფერი მიმართულებით და მისი შეცოცება აშშმუშნილი ფილიტების წყებაზე. ამ დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობს გრანიტის აპოფიზების უქონლობა ფილიტებში, შეხების ზოლში გრანიტის მილონიტური ხასიათი და ფილიტების ბუნება იმავე ზოლში.

ამგვარად, აქ შესაძლებელია შეკუმშულ (ფრთებ-მიკრულ), დაწყვეტილ სინკლინური ნაოკის (სქემატიურად) არსებობა, რომლის სამხრეთი და სახრეთ-დასავლეთი ნაწილი დამარბული უნდა იყოს იურის ნალექების ქვეშ; მოსალოდნელია, რომ ამ უკანასკნელთა სამხრეთით გაშიშვლებულ მასივის ზოლში შეეხვდეთ ფილიტების დარჩენილ ნაფლეთებს*).

პლიკატურ დისლოკაციის მოვლენათა შორის მთავარი ადგილი უჭირავს ბჟინეგ-საქასრულას სინკლინს. მის არსებობას შემდეგი ფაქტები ადასტურებენ: 1) ლიასის ქვიშა-ქვების და კირქვების მეორე ზოლი ბჟინევის სამხრეთით (ჯგოლის ლელეში) **) 2) მასივის გაშიშვლება იმავე სამხრეთ ზოლში და 3) კირქვების და ზედა ტუფიტების დაახლოებით საწინააღმდეგო დაქანება ჩრდილო ზოლთან შედარებით: ჯგოლის ლელეში ლიასის კირქვების მიმართებაა NO (10° . 20°) და დაქანება NN-კენ 40° — 50° კუთხით, ასეთივეა დაახლოებით ბაიოსის შრეების მდებარეობის ელემენტებიც, მხოლოდ დაქანება შედარებით მცირეა; შრეების დაქანების კუთხე მასივთან მიახლოებისას იზრდება და აღწევს 55° — 60° .

აღნიშნული სინკლინი თავისებური ხასიათისაა. მისი სამხრეთი ფრთა უფრო ძლიერადაა დაქანებული. მასთან აღმოსავლეთისაკენ სინკლინი თანდათან ვიწროვდება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ პერიკლინურად ბოლოვდება; ამ ნაწილში ნაოკი გართულებულია დიზიუნქტური დისლოკაციის მოვლენებით, რომელნიც ნაწილობრივ ბჟინევის შეცოცების (იხ. განაკვეთი) გაგრძელებას წარმოადგენენ,—ეს შეეხება აგეგმილი ნაწილის აღმოსავლეთ გაგრძელებას, რომლის დეტალური შესწავლა არ მოგვიხდენია; დასავლეთის მიმართულებით სინკლინი

*) 1930 წელში მუშაობის დროს ინჟ.-გეოლ. პ. გამყრელიძის მიერ მდ. ქვადაურის ხეობაში მართლაც ნახულ იქნა ფილიტების გამოსავლები.

**) რუკის ფარგლებს გარედაა:

თანდათან ფართოვდება და მალე იმალება უთანხმოდ განლაგებული ცარცის ნალექების სინკლინის ქვეშ; კიდევ უფრო დასავლეთით მას ცხადათ გამოხატულს უკვე ვეღარ ვხედავთ.

ალსანიშნავია, რომ მდ. ბჟინეურის ხეობაში სინკლინის ღერძის მახლობლად, სადაც შრეების დაქანება ძლიერ სუსტია (არ აღემატება 8° — 10°) ვამჩნევთ ხშირ, მცირე ამპლიტუდიან ნასხლეტებს.

აღწერილი სინკლინის ორივე ფრთის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს გრანიტული მასივიც. სჩანს, რომ ამ დანაოჭებაში მონაწილეობა მასაც მიუღია. მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მასივი იმგვარადვე ნაოჭდებოდა, როგორც იურის ნალექები; ნამდვილად აქ საქმე გვაქვს უთუოდ მთელ რიგ წყვეტით დისლოკაციებთან, რის შედეგად მასივი სინკლინის გულში დაწეულია, ჩრდილო-სამხრეთით-კი ამოწეული.

ანტიკლინურ ნაოჭს ეკუთვნის ის დიდი ნაოჭი, რომელიც აღნიშნული სინკლინის ჩრდილოეთით მდებარეობს და რომლის სამხრეთ ფრთას წარმოადგენს აგეგმილი რაიონის სამხრეთისაკენ დაქანებული დანალექი ქანები; რა თქმა უნდა, ბჟინევის სინკლინის ჩრდილო ფრთა ამ ანტიკლინის არსებითი შემადგენელი ელემენტია. ნაოჭის ჩრდილო ფრთა დენუდაციურ და ეროზიულ პროცესების გამო მთლიანად გადაარეცხილია და ღერძი ამოწეულ კრისტალურ მასივზე გაივლის.

აღნიშნულ ანტიკლინის პერიკლინური ნაწილის გამოხატველი უნდა იყოს ქანდარის (თიხის საბადო შროშის დასავლეთ ნაწილში) უბანი, ნასხლეტებით და მეორე რიგის სინკლინით საგრძნობლად გართულებული.

აღწერილი მთავარი ნაოჭები წარმოადგენენ მცირე კავკასიის ნაოჭების ჩრდილო ავან-პოსტს; მათი მიმართება დაახლოებით გეოგრაფიული პარალელის მიმართულებისაა.

გარდა ამ მთავარი ნაოჭებისა, ვამჩნევთ მეორე-ხარისხოვან გარდიგარდმო, მერიდიონალური მიმართულების, შეზღუდული გავრცელების ნაოჭებს, რომელნიც ნაკლებ ინტენსიურია და მასივის უსწორ-მასწორო მოძრაობის გავლენასთან არიან დაკავშირებული.

იურის შრეების მიმართების ცვალებადობა უმთავრესად ამ მოვლენების შედეგია.

სოფ. ლორეშასა და ბჟინეის შუა, ინტენსიურად დანაოჭებულ იურის ნალექებზე და მასივზე უთანხმოდ განლაგებული, ცარცის ნალექების სერიაც თავისებურ სინკლინურ ნაოჭს ჰქმნის: ფორმა ნაოჭისა უახლოვდება ერთ მხარეს გაშლილ ფართე ჯამს; დასავლეთისაკენ ნაოჭი შედარებით ფართოვდება, — უახლოვდება იურის ნალექების საერთო მიმართებას, მაგრამ დაქანების კუთხე მაინც მცირე რჩება. მთავარ ნაოჭს ემჩნევა აგრეთვე მეორე რიგის ტალღებრივი დანაოჭება და ფლექსურისებური გაღუნვები (ამაშუკეთი, საქასრია).

გამოკვლეული რაიონის მთავარი ნაოჭების მიმართულებას თან სდევს ნალექი ფორმაციების მასივზე შეცოცება, შუა ლიასის კირქვების გაწყვეტა, — მათი მოქცევა მომდევნო სერიის — ბაიოსის ტუფოგენ შრეებს შორის და, გაწყვეტა შეცოცების მოვლენითურთ თვით ზედა ტუფიტების სერიაში, რის ნიშნებს რა-

იონის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი იძლევა. დასახლებული მოვლენები ძირულის ხეობის ტექტონიკის ძირითადი დამახასიათებელი ელემენტია.

იურის ნალექების შეცოცება იწყება სოფ. შროშის დასავლეთ ნაწილში, გრძელდება აღმოსავლეთისაკენ და სოფ. ბჟინევის მიდამოებში გავლით სცდება ჩვენი რუკის ფარგლებს.

აღნიშნული შეცოცების დამახასიათებელია ცალკე სტრატиграფიული ერთეულების აღმოსავლეთისაკენ თანდათან გათხლება სრულ გამოსოფვამდე: ქვედა ტუფიტების წყება, შროშის დასავლეთ ნაწილში საკმაო სისქით წარმოდგენილი, კოტროულას ლელეში (ძირულის მარჯვენა პატარა შენკადი სოფლის სკოლასთან) თხელდება და მდ. ძირულის მარცხენა მხარეზე უკვე მთლიანად ისოლება; ასევე ვიწროვდება და განიცდის გაწყვეტას (სოფ. სამებაში—„სახლგრის ლელეში“ და უბისიდან ლორეშის ცარცის ნალექებამდე) ლიასის კვარციანი ქვიშაქვების ზოლი; ანალოგიურადვე თხელდება და ხშირად სწყდება კიდეც წითელი კირქვების წყებაც (იხ. რუკა), თუმცა ეს მოვლენა, ნაწილობრივ მაინც, ზედა ტუფიტების (ბაიოსის) ტრანსგრესიითაც შეიძლება აიხსნას. შეცოცების სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ზოლის გასწვრივ მთელი სერიის დიდი კუთხით დაქანება, ყირაზი დგომა, —ზოგიერთ შემთხვევაში გადაბრუნებაც—კი და მასთან ცოცვის სარკების არსებობა წითელ კირქვებში.

აღნიშნულ შეცოცების სამხრეთით, დაახლოებით მის პარალელურად გაივლის მეორე შეცოცების ხაზი; იწყება ეს უკანასკნელიც პირველის მახლობლად (შროშა, მაჭარულას უბანი), შემდეგ მისი მიმართულება გაჰკვეთს მდ. ძირულას, გაივლის სოფ. სამებაში, უბისაში, გადაჰკვეთს მდ. ქვედაურას, —ლორეშის მიდამოებში ცარცის ნალექების ქვეშ უნდა იმალებოდეს, და სოფ. ბჟინევის რაიონში კვლავ გამოჩნდება. აქ აღვილი აქვს იურის ნალექების სერიის გაწყვეტას და მოწყვეტილ სამხრეთ ნაწილის ჩრდილოეთისაკენ მოძრაობას, შეცოცებას, რის შედეგად ზენაჩენებში ვამჩნევთ წითელი კირქვის მეორე ზოლს, ნაფლეთების სახით მოქცეულს ზედა ტუფიტებში (მდ. ძირულის კალაპოტში, სამების ეკლესიასთან და სოფ. ბჟინეში).

აღწერილი შეცოცებანი ცარცის წინაღობინდელ ოროგენულ პროცესებს (ტიტონის წინა ფაზას) უკავშირდება. არის ნიშნები, რომ მოძრაობა ცარცის შენდგამაც გრძელდებოდა და ერთთავად არ მომხდარა, —ნასხლეთი ლორეშის ცარცის ნალექებში შეცოცებათა ზოლის გასწვრივ მესამეულში განახლებული მოძრაობის გამომხატველი უნდა იყოს, ამ მოვლენისავე დამადასტურებელია სამებაში ცარცის პატარა, ეროზიულ კუნძულის მიწყვეტა იურის ნალექებზე.

მესამე შეცოცება, რომელიც წინა ორის სამხრეთითაა მოქცეული, იწყება სოფ. ჭაოლის დასავლეთით (შესაძლებელია კიდეც უფრო შორს იწყებოდეს), გაივლის სოფ. აჭარაზე, გადაჰკვეთს ძირულის ხეობას, გაუყვება „ორთაძის ლელე“-ს და შემდეგ ისიც შეიძლება ცარცის ნალექების ქვეშ იმალებოდეს (აქ სურათი აღარაა ნათელი). აქაც ისე, როგორც მეორე შეცოცების შემთხვევაში, ლიასის წითელი კირქვები ნაფლეთების სახითაა მოქცეული პორფირიტულ სერიისაში (სოფ. ჭალა, —რკინის გზის გასწვრივ); მასთან თვით ბაიოსის შრეები აღნიშნული ზოლის გასწვრივ ძლიერ აღეწილია, —ემჩნევა უამრავი მცირე ნას-

ხლეტები, უსწორ-მასწორო წვრილი ნაოჭები და ბრეჭილი აგებულება (ძირულა-შროშის გზატკეცილზე).

შუა იურის ტუფოგენი სერიის დიდი სისქე ჰბადებს საკითხს ამ მოვლენის ტექტონური მიზეზებით ახსნის შესახებ და გვაფიქრებინებს სამხრეთისაკენ კიდევ შეცოცების არსებობას.

გარდა შეცოცებითი ხასიათის მოვლენებისა, აგეგმილ რაიონს ახასიათებს აგრეთვე მთელი რიგი ნასხლეტებისა და ჰორიზონტული ნაწივების.

სოფ. უბისაში, დაახლოებით ეკლესიის მერიდიანიდან ლორეშის ცარცის კირქვებამდე, ზედა ტუფიტების დაქანება მასივისაკენაა და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მასივი მათზე იყოს შეცოცებული. მოსალოდნელია, რომ აქ ნამდვილად ადგილი ჰქონდეს გასწვრივ ნასხლეტს, რომელსაც შეცოცებული იურის სერიის მასივთან შედარებით დაწვევა გამოუწვევაა.

ამ ადგილის მახლობლად სამხრეთით ცარცის ნალექებში ვამჩნევთ დაახლოებით NO-SW მიმართულ გასწვრივ ნასხლეტს; ჩრდილო ბაგე, შემდგარი, ბაიოსზე უთანხმოდ განლაგებულ, ქვ. ნეოკომისა და ნაწილობრივ აპტის მერველებიდან, 50 მეტრამდე დაბლაა დაწვეული სამხრეთ ბაგის ეკვივალენტურ შრებთან შედარებით. ამ ნასხლეტის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს მდ. ქვადაურის მარცხენა ფერდობის ნასხლეტი, სადაც იგეთივე სურათია, როგორც მარჯვენა მხარეზე.

ნორმალურ ნასხლეტთა რიცხვს ეკუთვნის „შარაქაულის“ ნასხლეტი; მის ცხად სურათს იძლევა მდ. კოტროულა-ღელის მარჯვენა მხარე; სოფ. წვევისაკენ მიმავალ გზის მახლობლად (ჩრდილო-დასავლეთით) სპანიოდონტელებიან შრებებს ქვეშ განმარტოებულადაა წითელი კირქვის პატარა ნაწყვეტი, მისი მოწყვეტილი ნაწილი 70—80 მეტრით დაბლაა დაწვეული. მის გაგრძელებას დასავლეთისაკენ გლინავის ღელის (ს. წვევა) ნასხლეტი უნდა წარმოადგენდეს.

ქანდარის უბანშიაც არის სამი გასწვრივი მიმართულების, შედარებით პატარა, ნასხლეტი, რომელთაც ძლიერ გაურთულებიათ ცეცხლ-გამძლე თიხის საბადო.

პირველი ორი ნასხლეტი, გამავალი ამ უბნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შედარებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მესამე. პირველ ნასხლეტში კარგად ჩანს მასივის მონაწილეობაც, —ის ნასხლეტის სამხრეთ ბაგის შემადგენელი ელემენტია და მაღლაა აწეული.

სართულის ზედა ჰორიზონტში აღნიშნული ფორმები არ გადადის. აქ მათ მაგიერ მტკნარი წყლის ფაუნა არის განვითარებული. ბაჩირის შესართავის ცოტა ზემოთ თიხებში და კვიშაქვებში ნაპოვნია:

Congeria sp.

Dreissensia aff. *novorossica* Sinz.

Dreissensia sp.

Cardium aff. *Mitridatis* Andr.

Anodonta sp.

Neritina sp.

აქედან ნამარხიანი თიხები ლალიძგის მარცხენა ნაპირზე გადადის. დანალექებში ხშირია აგრეთვე მცენარეების განახშირებული ნაწილები. ლალიძგის მარჯვენა ნაპირზე ბაჩირის შესართავის ქვემოდ მეოტურ თიხებში 1—2 სანტიმეტრის სისქე ქვანახშირის ლინზები არის განვითარებული. ეოცენის მერგელების ჩრდილოეთით წარმოდგენილ მეოტურ დანალექებში *Dreissensia* და *Neritina*-სთან (ისეთი ფორმები, როგორც ბაჩირში) ერთად ნაპოვნია მცენარეების კარგად დაცული ფოთლები.

დასასრულ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ კიდევ ერთი ფაქტი. ლალიძგის მარცხენა ნაპირზე, ოჩამჩირის გზის პირას, მეოტურ დანალექებში მოიპოვება რამოდენიმე შრე ალბური სართულიდან. პეტროგრაფიული ხასიათი ქანებისა: ღია ნაცრისფერი მერგელები და მუქი ნაცრისფერი თიხები *Inoceramus*-ის ნატეხებით, არავითარ ექვს არ იწვევს მათ დათარიღებაში. ალბური შრეები უთანხმოთ ძვეს მეოტურ თიხებში. უკანასკნელნი NW-კენ არიან დაქანებული. თუმცა ალბური ქანები დამსხვრეულია, მაგრამ, მაინც ეტყობათ დაქანება SO-სკენ. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა მეოტურ დანალექებში ეოცენის მერგელების და ეოცენის თიხების ნატეხების გავრცელება. ამის შემდეგ ეს გარემოებაც გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. უნდა დაუშვათ, რომ მეოტურ ზღვაში ნაპირებიდან ჩამოტანილ მესამეულის თიხებთან და მერგელებთან ერთად ცარცის ქანებიც მოყვა. მაგრამ აქ დასაშვებია ტექტონიკური ახსნაც. ამ შემთხვევაშიც აღნიშნული გარემოება ჩვენ მიერ მოცემული რაიონის ტექტონიკური სქემის დამადასტურებელი იქნებოდა, მაგრამ ასეთი დასკვნისათვის საკმარისი მასალა არ მოგვეპოვება; რაიონის ამ ნაწილს ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ.

მეოტური დანალექები, როგორც რუკაზედაც გარკვეულად ჩანს, ტყვარჩელში ფართოდ არის გავრცელებული. აღსანიშნავია პეტროგრაფიული ხასიათი მეოტური ნალექებისა მდ. ლეჯირის მარჯვენა ნაპირზე. აქ, სწორედ იმ ადგილას, სადაც ზედა ცარცი უნდა იყოს წარმოდგენილი, მდინარის მარცხენა ნაპირიდან ჩანს, რომ წითელი ფერის დანალექებია განვითარებული, რომელნიც ერთი შეხედვით ძალიან გვანან ფერადი სერიის ქანებს. ქანის ფერს შეუყვანია შეცდომაში, ალბად, ახლად გამოცემული კავკასიის გეოლოგიური რუკის იმ ნაწილის ავტორი, რომელსაც ეს წითელი კვიშაქვები ფერად სეროიდ მიუღია. მართალია, ქანი ფერით ამ სერიას ძალიან წააგავს, მაგრამ ნაშენობა და პეტროგრაფიული შედეგნილობა დანალექებისა სულ სხვაა.

წითელი ქვიშაქვები შრებად არის განლაგებული და 20° არის დაქანებული სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ქვიშაქვებს ქვეშ კირქვის კონგლომერატი უძევს. ეს უკანასკნელი ფერად სერიაში არ არის ცნობილი. რუკაზე მდ. ლეჯირის გასწვრივ გავლებული ფერადი სერია რასაკვირველია შეუსაბამობას წარმოადგენს. საკმარისია ერთი მარშრუტი მდინარის გასწვრივ რომ დარწმუნდეთ მის ორივე ნაპირზე კარბონატული სერიის განვითარებაში.

ტყვარჩელის კონგლომერატები ვებერმა¹⁾ ნეოგენს მიაკუთვნა. ტექსტში პლიოცენის კონგლომერატებს უწოდებს, ხოლო რუკაზე მათი გავრცელების არე მიოცენად აქვს შეფერილი. მეორე შრომაში²⁾ ის მათ პლიოცენს აკუთვნებს. მოკრინსკი³⁾ გარკვეულად არაფერს არ ამბობს ამ კონგლომერატების ასაკზე. აღნიშნავს მხოლოდ რომ ნეოგენის წყება ძვეს სქელ კონგლომერატებზე (სოფ. კვეზანის სამხრეთით), რომელნიც თითქმის მხოლოდ კირქვის რიყისქვისგან შედგება (ბ. მეფერტის მიხედვით ტურონის სართულიდან). ამ გამოთქმიდან ჩანს, რომ ეს კონგლომერატები ავტორის აზრით ნეოგენის ქვედა სტრატეგრაფიულ ერთეულს უნდა წარმოადგენდეს. მეოტური სართულის ზედა ჰორიზონტი პირველად ამ რაიონისათვის სენისკიმ აღწერა, ქვედა ჰორიზონტის გავრცელების შესახებ აქ ჩვენ ჯერ კიდევ 1928 წ. ავღნიშნეთ გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე. ანალოგიური დანალექები განვითარებულია აგრეთვე ვალის მაზრაში და სამეგრელოში (მეფერტი); მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰორიზონტი საკმაო ფართედ არის წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოში და აფხაზეთში და გეოლოგების (ვებერი, მოკრინსკი, მეფერტი) ყურადღებას იპყრობდა, ფაუნისტური დახასიათება მისი დღემდე არავის არ მოუცია.

ს ა რ მ ა ტ უ ლ ი ს ა რ თ უ ლ ი .

აფხაზეთი მდიდარია მცენარეულობით, რაც მეტად აძნელებს გეოლოგიურ დაკვირვებას. ალბად ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ არსად აგეგმილ რაიონში in situ სარმატი არ შეგვხვედრია, მაშინ როდესაც სოფ. ნოჯიხევში აჯიმაშწვარას ფერდზე პოვნილ იქმნა ნატეხები ყვითელი ფერის კირქვიანი ქვიშაქვებისა, რომელშიდაც ბლომად მოიპოვება *Ervillea podolica* Echw., *Cardium sp.* და გაურკვეველი Gastropoda. საერთოდ ერვილიანი შრეები დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს სარმატის სულ ქვედა ნაწილისათვის. ზედა ნაწილი ჩვენში წარმოდგენილი სარმატისა გარკვეულად განირჩევა ქვედა ნაწილისაგან. პირველში უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი ფაუნა არის განვითარებული, რომელშიდაც ქარბობს *Tapes*, *Mactra*, *Cardium* და სხვა.

ტყვარჩელის მიდამოებში ზედა სარმატისა არ ჩანს რა, ის აქ დაფარული უნდა იყოს მცენარეულობით და დელუვიუმით, მაგრამ შესაძლებელია დიდი ნაწილი

¹⁾ В е б е р, З а м е т к а о м е с т о р о ж д е н и и к а м е н н о г о у г л я б л и з м. О ч е м ч и р и М а т. д. Г е о л. К а в к., с е р. III, к н. 3, 1902, с т р. 306.

²⁾ В е б е р, Г е о л о გ ი ч е ს კ ი ე ი ს ს л е დ о в ა ნ ი ა ვ ч а с т и с у ხ უ მ კ ი ე ო ბ რ უ გ ა ვ. 1900 г М а т. д л я Г е о л. К а в კ., с е р. III, к н. V, 1903 г. (რუკა).

³⁾ М о к р и н с კ ი, Т в ა რ ძ ე ლ ს კ ი უ გ ლ ე ნ ო ს ნ ი რ ა ი ო ნ. Т р. Г е ო ლ ო გ ი ა, В и მ. 189. 1928, с т р. 15.

გადარეცხილიც იყოს მეოტური ტრანსგრესიით. ამის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ის ფაქტი, რომ მეოტური კონგლომერატების ქვეშ განლაგებულ თიხებში ლინზებია კენჭების, რომლებშიაც ბლომად მოიპოვება ნიჟარების ნამსხვრევები და ბოლოს ის ფაქტიც, რომ ჩრდილო-დასავლეთისაკენ მეოტური სართული თანდათან უფრო ძველ დანალექებში გადადის.

კონკური ჰორიზონტი.

ეს ჰორიზონტი განვითარებულია აჯიმა-მწვარას ჩრდილო ფერდზე კვეზანსა და ნოჯიხევის შორის. აგეგმილი რაიონის სხვა ადგილებში კი არ შეგვიძინევა და არც უნდა იყოს განვითარებული. ფოლასიანი შრეების კარგი ნაჩენი წარმოდგენილია ნოჯიხევიდან ბელიაში მომავალი გზის პირას, მეოტური კონგლომერატების კარგათ ქვემოთ. აქ სპანიოდონტელიანი ჰორიზონტის ზევით გვხვდება თიხები და თიხანარევი ქვიშაქვები სფერული კონკრეციებით. ქანი მზეზე ადვილად იფიტება. გამოფიტულია აგრეთვე ნიჟარებიც. თიხებში და კონკრეციებში ფოლასების მხოლოდ კალაპოტები მოიპოვება. ან დ რ უ ს ო ვ ი¹⁾—ფოლასიან შრეებს და კონკურ დანალექებს ერთ ჰორიზონტად სთვლის და მიოცენში ათავსებს კარაგანსა და სარმატს შორის კონკური ჰორიზონტის სახელწოდებით. გეოლოგმა დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ მ ა²⁾ ქართლში თეთრათ-ხევში შუა მიოცენის დანალექებში შემდეგი მორიგეობა გაარჩია:

1. სპანიოდონტელიანი შრეები.
2. ფოლასიანი შრეები.
3. დანალექები კონკური ფაუნით.
4. სარმატი.

ამ განაკვეთიდან ჩანს, რომ ან დ რ უ ს ო ვ ი ს კონკური ჰორიზონტი ორად იყოფა: ქვეშ ფოლასებიანი შრეები, ზევით დანალექები საკუთრივ კონკური ფაუნით. დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი ფოლასიან ქანებს ქართლის შრეების სახელწოდებით ცალკე გამოყოფს. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სამურზაყანოში გალის მაზრაში მიოცენის დანალექებში ნაპოვანია კონკური სახის ფაუნა, რომელსაც ქვედა სარმატი მოსდევს. მაშასადამე აფხაზეთში მოსალოდნელია კონკური ჰორიზონტის ორივე ფაციესის გარჩევა. ტყვარჩელში ჯერჯერობით მხოლოდ ფოლასიანი შრეების სტრატეგრაფიული მდებარეობა არის ცნობილი. ის სპანიოდონტელიანი ჰორიზონტს მოსდევს.

კარაგანული ჰორიზონტი.

რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ფოლასიანი შრეები არა ჩანს. მათ მაგიერ ლალიძის ორივე ნაპირზე სპანიოდონტელიანი ქანებია განვითარებული. უშუალო კონტაქტი მეოტურ კონგლომერატებსა და კარაგანულ ჰორიზონტს შორის არსად არ შეგვხვედრია. სოფ. კვეზანში, სააგურეს მახლობლად,

¹⁾ Андрусов, Конский горизонт (фоладовые пласты). Труды геол. и мин. Муз. Ак. Наук. том II, вып. 6, 1917.

²⁾ Давиашвили, О конском горизонте в Грузии. Отд. отт. из Азербайдж. Нефт. Хозяйство, 10-я № 10 (106).

დელის პირას, განვითარებულია თიხები მიკროკონგლომერატების ლინზებით. ქანში ბლომად მოიპოვება *Spaniodontella*. თიხებში აღსანიშნავია სფერული კონკრეციები, რომელთა გულში ორგანოგენი (Bryozoa) კირქვებია მოთავსებული, რომელსაც გარეთ სქელი ქვიშაქვის ქერქი აკრავს. ქვიშაქვაში იშვიათი *Spaniodontella* იყო შემჩნეული.

სოფ. კვეზანში კარაგანის ჰორიზონტის თიხებში ყვითელი მასივი ოოლითური სტრუქტურის ქვიშაქვებია განლაგებული. ქანი ზოგან მოლურჯო ფერისაა. ქვიშაქვის ოოლიტები კონცენტრული აპკებისგან შედგება ოოლიტის გულში კლასტიური ქანის ნატეხია მოქცეული. ქვიშაქვაში კარგად შენახული *Sp. pulchella* Baily და *Mohrensternia inflata* Andr. არის დაცული. სპანიოდონტელიანი შრეები აქედან ლალიძგის მარჯვენა ნაპირზე გადადის, სადაც კონკრეციანი თიხებით არის წარმოდგენილი, როგორც სააგურესთან.

ჩოკრაკული ჰორიზონტი.

ლალიძგის ჩრდილო-დასავლეთით მეოტურ კონგლომერატებს ჩრდილოეთი-საკენ ჩოკრაკი მოსდევს. უნდა აღინიშნოს, რომ უშუალო შეხება მეოტურ სართულსა და ჩოკრაკს შორის არსად არ შეგვიმჩნევია. ჩოკრაკი ჩვენს რაიონში ფართოდ არის გავრცელებული. ის ვიწრო ზოლად მიყვება ნოჯიხევიდან დაწყებული მოქვამდე. ამ ჰორიზონტის დანალექები გამოჩენილი არის აჯიმა-მწვარას ჩრდილო ფერდზე, ლალიძგის ორივე ნაპირზე, სოფ. კვეზანში, მდ. ლეჯირზე და ბოლოს ღელე ბაჩირში. აღსანიშნავია ჰორიზონტის ქვედა ნაწილში მსხვილმარცვლოვანი ქანების განვითარება. ლეჯირზე მდინარის კალაპოტში შეჭრილი ჩოკრაკული შრე მსხვილ მარცვლოვან ქვიშაქვას წარმოადგენს, რომელიც ზოგან მიკროკონგლომერატში გადადის. ქანში მოზრდილი რიყის ქვებიც არის წარმოდგენილი, ხშირია აგრეთვე ოოლიტური სტრუქტურის ნამარხებიანი კონკრეციები (თუ რაყისქვები?). ძირითად ქანში ბლომად მოიპოვება *Cerithium Cattleya* Baily, *Pecten malvinae* Doub. და სხვა. ასეთი ხასიათის დანალექები განვითარებულია აგრეთვე სოფ. კვეზანში ლალიძგის ორივე ნაპირზე. მხოლოდ აქ დანალექებს შრეებრივი განლაგება ეტყობა და ზედა ნაწილში თიხები ემატება. ლალიძგის მარჯვენა ნაპირზე თიხებში სფერული კონკრეციებია ჩართული, როგორც კარაგანის ჰორიზონტში. აჯიმა-მწვარას ფერდზე სააგურესთან მოთეთრო ფერის ქვიშიანი კირქვებია განვითარებული, რომლებშიაც სხვა ჩოკრაკულ ფორმებთან ერთად *Mytilus* sp. გვხვდება. აქ ამ ფაციესს სპირიალისებებიანი თიხებიც ემატება. სამწუხაროდ ეს უკანასკნელნი *In situ* არ შეგვიმჩნევია. *Spiralis* sp კირქვებშიც მოიპოვება მაგ. აჯიმა-მწვარას სამხრეთ ფერდზე, ბელიაში მიმავალ გზის პირას. ამრიგად ჩოკრაკი ტყარჩელში სამი ფაციესით არის წარმოდგენილი.

1. ქვიშაქვები ჩოკრაკული ნამარხების ნამსხვრევებით და მორგვალეული ფორმებით, მაგრამ შიგ კარგად დაცული და ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი ორგანიული ნაშთებიც ბლომად მოიპოვება (ნაპირის დანალექები წყების ქვედა ნაწილში).

2. კირქვა, სპირიალისებით სხვა ჩოკრაკულ ფორმებთან ერთად და

3. თიხები სპირიალისებით (წყების ზედა ნაწილში).

როგორც აღნიშნული გვქონდა, სპირიალისებიანი თიხების ნატეხები კვეზან-ში ნაპოვნი იყო ჯერ კიდევ 1928 წ. ჩვენ მიერ. ამ ნატეხებს მოკრინსკი¹⁾ იხსენიებს. ჩოკრაკი პირველად აქედან სენინსკიმ²⁾ აღწერა.

ვ ა ლ მ ო გ ე ნ ი.

თევზიანი თიხები-ზედა თევზიანი ჰორიზონტი (ოლიგოცენი).

ტყვარჩელის რაიონში ოლიგოცენი თიხებით არის წარმოდგენილი, რომელთაც ზოგან ქვიშაქვის შრეებიც ემატება. თიხა ფიქლებრივია, თხელ შრიანი, რბილი, პლასტიური, მუქი ნაცრისფერის, მზეზედ ადვილად იშლება წვრილ ნატეხებად და გაშიშვლებულ ზედაპირზე ხშირად ქანგის ფრად არის შეღებილი. წვიმების შემდეგ თიხიდან წითლად შეღებილი წყალი გადმოდის.

თიხებს საკმაო ფართე ადგილი უჭირავს ჩვენს რაიონში, დაწეული ადგილები აისრა-ლაშკენდერსა და აჯიმა-მწვარას შორის მათ უკავია. ორგანიულ ნაშთიდან მცენარეების განახშირებულ ნაწილებს გარდა Clupea-ს ქერცლები მოიპოვება. პეტროგრაფიული ხასიათისა და პალეონტოლოგიური შემადგენლობის მიხედვით ეს დანალექები ძალიან წააგავს სამეგრელო-რაჭა-ლეჩხუმში განვითარებულ ე. წ. ზედა თევზიან ჰორიზონტს, სტრატეგრაფიული დონეც თანაბარი აქვთ. იქ ჩვენ ეს ჰორიზონტი მაიკოპის წყების ანალოგად ჩავთვალეთ³⁾ მაშინ ჩვენ ამ დანალექების მხოლოდ რამოდენიმე განაკვეთს ვიცნობდით. ჩრდილო კავკასიაში, იქ, სადაც პალეოცენი თანხმობით გადადის მიოცენში, მაიკოპი მთლიანად ოლიგოცენისა და ქვედა მიოცენის გამომსახველად მიაჩნიათ⁴⁾. ტყარჩელში ოლიგოცენს ზემოდან სტრატეგრაფიული უთანხმოება საზღვრავს, ქვემოც იოცენის მერგელები უძევს. ვინაიდან ტყვარჩელში ჩოკრაკი ტრანსგრესიულია, ნაწილი ოლიგოცენის თიხებისა რასაკვირველია გადარეცხილია. თქმა იმისა, რამდენი ნაწილი თიხებისა არის გადარეცხილი შეუძლებელია, რადგან ოლიგოცენის თიხების სართულებად დანაწილება შიგ დატული თევზების შეუსწავლელელობის გამო არ ხერხდება. მათი უფრო ზუსტი დათარიღება მომავალის საქმეა.

აღსანიშნავია, რომ ქიმიური ანალიზის (სოფ. კვეზენის სააგურესთან აღებული ნიმუში შეიცავს SiO_2 —60,26%, M_2O_3 —14,86%, Fe_2O_3 —7,47%, CaO —3,46%, MgO —0,82%, $S O_3$ —0,49%, ტუტეები სხვაობის მიხედვით—6,63% და დანაკარგი ვახურებისას—6,01%) და ტექნოლოგიური გამოცდის მიხედვით ოლიგოცენის თიხების ზედა ნაწილი ქვიშის დაუმატებლად აგურის წარმოებისთვის ვარგისად ცნობილ იქნა.

¹⁾ Мокринский, Геолого-разведочные работы Геолкома в Ткварч. угленином районе. *Изв. Геол. Ком.* 48. № 6, 1929. стр. 9.

²⁾ Сенинский, Новые данные о неогеновых пластах Юго-зап. Закавказья. *Труды Общ. Ест. при Юрьев. У-те.* XVI, 1906, стр. 31.

³⁾ ი. კაკარავა, მასალები სამეგრელოს გეოლოგიისათვის. ტფილ. უნ-ტეტის შთამბეჭ. ტ. VII, გვ. 83.

⁴⁾ Архангельский, О вероятном возрасте нижних третичных отложений северн. склона Кавказа. *Бюллетень Москов. Общ. Исп. Природы*, 1925, отд. геол., т. III (3—4), стр. 213—221.

თევზიანი მერგელები-ქვედა თევზიანი ჰორიზონტი (ეოცენი).

ოლიგოცენის თიხებს კვლავ თევზიანი დანალექები მოსდევს, რომლის ქვედა ნაწილი მოყვითლო ფერის მერგელებით არის წარმოდგენილი. ზედა ნაწილში კი მუქი ნაცრის ფერი თიხებია განვითარებული. ორგანიულ ნაშთიდან უმთავრესად თევზის ქერცლები მოიპოვება. ამ წყების ქერცლები განსხვავდება ოლიგოცენის თიხებში მოქცეულ ქერცლებისაგან. მეტად მნიშვნელოვანია მერგელებში აღმოჩენილი *Lyiolepis caucasicus* Roman. ხშირია ქერცლი აგრეთვე სხვა ფორმების. გარდა ამისა ლალიძის მარცხენა ნაპირზე სოფ. კეზანში *Pecten* sp. იქნა პოვნილი. ჩრდილო კავკასიაში *L. caucasicus* Roman. ფორამინიფერებიანი მერგელების ზედა ნაწილის (ზედა ეოცენის) დამახასიათებელია ¹⁾. ტყარჩელიდან თევზიანი მერგელები სამურზაყანოში გადადის, აქედან კი სამეგრელოში, სადაც მდ. აბაშის პიდრო-ელსადგურის მახლობლად 1926 წელს თევზიანი მერგელებში *L. caucasicus* Rom. ქერცლები იყო შემჩნეული. ანალოგიური დანალექები რაჭა-ლეჩხუმშიც და აფხაზეთშიც ²⁾ მოიპოვება. ძველი გეოლოგები ოლიგოცენის თიხებს და ეოცენის მერგელებს ერთმეორეში ურევდნენ და „თევზებიანი სართულის“ სახელწოდებით ზედა ეოცენს აკუთვნებდნენ. ჩვენ პირველად „თევზიანი სართული“ ორ დამოუკიდებელ ზედა და ქვედა თევზიან ჰორიზონტებად დავყავით ³⁾. უკანასკნელს ე. ი. ჩვენს ქვედა თევზიან ჰორიზონტს მეფერტი ⁴⁾ ლუტეციური სართულის ზედა ქვესართულს აკუთვნებს, რადგანაც მას თანხმობით აღვის კირქვები აძევს, რომელნიც მისი აზრით „в предварительном толковании можно отнести к нижней половине верхнего эоцена (auversien и не выше bartonien)“. ქვეშ კი ლუტეციური კირქვები უძევს. ამიტომ ავტორმა თევზიანი მერგელები ზედა ლუტეციურს მიაკუთვნა, ხოლო ნუმულიტიანი კირქვები კი ლუტეციურის შუა და ქვედა ქვესართულებს. ეს დასკვნა მისაღები იქნება მხოლოდ მას შემდეგ, როცა საბოლოოდ დამტკიცდება, რომ ნუმულიტიანი კირქვები მართლა შუა და ქვედა ლუტეციურის ასაკისაა და, რომ, აღვის კირქვები ოვერზულ სართულს ეკუთვნის. აქ აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ბზიბის აუზში თევზიან მერგელებში კირქვის და კირქვიანი ქვიშაქვის თხელი ზოლებია განვითარებული მდიდარი *Discociclin* ათი. რასაკვირველია საბოლოოდ ეოცენის მერგელების საკითხს ბზიბის ფაუნის მხოლოდ ზუსტი შესწავლა გამოარკვევს. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში (სოხუმის მილა-

¹⁾ Савченко, *Elastobranchii* Мангышлакского эоцена. *Зеп. Киев. Общ. Ест. т. XXII* вып. II, 1912, стр. 149—166.

²⁾ Шатцкий и Меннер, О стратиграфия палеогена Восточного Кавказа. *Бюл. Моск. Общ. Исп. Прир., отд. геол. т. V* (1) 1927, стр. 58.

³⁾ Шведов, Палеоценовые и смежные с ними слои Сухума... статья I. *Труд. Геол. Научн. Иссл. И-та 1-го Моск. Гос. У-та* 1929, стр. 18.

⁴⁾ ი. კაკარავა, მას. სამეგრ. გეოლ. გვ. 80—84.

⁵⁾ Мефферт, Геология. очерк Лечхума. *Мат. по общ. и прикл. геол.* вып. 140, 1940, стр. 83.

მოგზო, ბზიბის აუზში) და სამეგრელოში თევზიან მერგელებს ქვეშ მომწვანო ფერის ფორამინიფერიანი მერგელები მოუყვება. ტყვარჩელში ეს უკანასკნელი არა სჩანს. ტექტონიური უთანხმოების გამო, ალბად, აქ თევზიანი მერგელები უშუალოდ მეოტურ კონგლომერატებზე არის განლაგებული.

ნუმულიტიანი კირქვები (შუა ეოცენი).

ეს კირქვები ტყვარჩელში წარმოდგენილია მხოლოდ რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. სხვაგან ან გადარეცხილია ან შეცოცებათა გამო მეოტური კონგლომერატებით არის დაფარული. ადგილმდებარეობა ალრაში, საშინების მახლობლად, ვერტიკალურად მდგარ ნუმულიტიან კირქვებზე აყუდებულია ამავე კირქვების ხარჯზე წარმოშობილი მეოტური კონგლომერატები. ნუმულიტიანი კირქვები თეთრი ფერისაა. ქანში ბლომად მოიპოვება კალციტის კრისტალები და ზოგან პირიტის წინწყლებიც. ახალ მონატებზე ნამარხების ნიშნები არც კი ეტყობა. ქანის გადარეცხილ ზედაპირზე მშვენიერად ჩანს პატარა ნუმულიტების ნაჭუჭები. იშვიათად კირქვაში *Discocyclina*-ც გვხვდება. ანალოგიურ დანალექებს შვეიცოცია¹⁾ სოხუმის მიდამოებიდან აღწერს, მაგრამ ნუმულიტები არც იქიდან არის განსაზღვრული. მეფერტი²⁾ სამეგრელოს ნუმულიტიან კირქვებს ლეჩხუმის შუა ეოცენის კირქვებს უკავშირებს. ჩვენც ფაუნის განსაზღვრამდი ამ კირქვებს პროვიზორულად შუა ეოცენს ვაკუთვნებთ.

ც ა რ ც ი .

მესამეულის დანალექებს ჩრილოეთით კარბონატული სერია მოსდევს, რომელიც ლითოლოგიური შედგენილობის მიხედვით სამ წყებად შეიძლება დაიყოს. ზედა წყებაში თეთრი შრეებრივი კირქვებია განვითარებული, შუა წყება თიხებით და მერგელებით არის წარმოდგენილი, ხოლო ქვედა წყება მასივი კირქვებისაგან არის შემდგარი. მესამეულისა და ზედა იურის ფხვიერ ქანებს შორის კარბონატული სერია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაწოლილ აისრა-ლაშქენდერის ქედს ქმნის. ლითოლოგიური სხვადასხვაობა კარბონატულ სერიაში მაჩვენებელია წყებათა ასაკის სხვადასხვაობის. თეთრი შრეებრივი კირქვები ზედა ცარცს ეკუთვნის, თიხები და მერგელები ალბურ და აბტურ სართულებს გამოხატავს, ხოლო მასივი სახის კირქვები მთლიანად ქვედა ცარცს უნდა მიეკუთვნოს.

ზედა ცარცი.

მდ. ლალიძგა იძლევა ზედა ცარცის მშვენიერ განაკვეთს. ქანი მთელი წყების სისქეზე ერთფეროვანია: თეთრი, ზოგან ვარდისფერი, მკვრივი, ხშირი კალციტის ძარღვებით. ასეთია ცარცის ამ ნაწილის პეტროგრაფიული დახასია-

¹⁾ Швенцов, Палеоценовые и смежные с ними слои Сухума. *Тр. Геол. Науч. Исслед. И-та 1-го Мсс. Гос У-та.* 1929, стр. 11—20.
²⁾ Мефферт, Геологические исследования в Мингрелии. *Тр. Геол. Разв. Упр.* 1931. Вып. 64. стр. 35.

თება. ქანში ხშირია აგრეთვე პირიტის წინწკლები, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ლიმონიტად არის ქცეული. კირქვა ძალზედ დანაპრალებულია. აღსანიშნავია შეკრული ნაპრალები ამონიტის ტიხრის ხაზის მაგვარი. ზოგან სტილოლიტებიც ჩანს. ეს ორი უკანასკნელი მოვლენა ტექტონიკურ მოქმედებას უნდა მიეწეროს. ზედა ცარცის ქვედა ნაწილში კირქვები სქელ შრიანია, ხშირად ვარდის ფერი. ქანი მდიდარია კაჟის კონკრეციებით, რომლებიც ზოგან ლინზების სახით არის განლაგებული. წყების ამ ნაწილში ნამარხი არ შეგვხვდრია. ზედა ნაწილი კირქვებისა უფრო თხელ შრიანია, თეთრი, ხელს სვრის. აქ ვარდის ფერ კაჟს ნაცრის ფერი კაჟი სცვლის, სულ ზედა შრეებში კაჟი სრულიად არ მოიპოვება. ნამარხებიდან გვხვდება იშვიათი *Jnoceramus sp.* (ნატეხები) *Rhynchonella sp.* (ერთი) *Belemnites sp.* (ნატეხი). აღრასაკენ კირქვის ნაზავში ზღვის ზღარბებიც ერია. აგეგმილ ადგილებში ზედა ცარცის კირქვები თანაბრად არ არის განვითარებული. ღალიძგის ჩრდილო-აღმოსავლეთით ის ძალზედ გადარეცხილია და ალუვიონით არის დაფარული, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მესამეულის კირქვებთან ერთად კარნიზებს აჩენს მესამეულის ფხვიერი დანალექების პირის პირ. ზედა ცარცის ლითოლოგიური ერთგვარობა და ნამარხების უქონლობა აძნელებს, უკეთ რომ ვსთქაბა, შეუძლებელს ხდის მის დანაწილებას სართულბად. მოკრინსკი¹⁾ და მეფერთი ამ კირქვებს ტურონს აკუთვნებენ; მათი აზრით სენონი გადარეცხილია. სოფ. კვეზანში, როგორც ეს რუკაზედაც კარგად ჩანს, მეოტური კონგლომერატები ცარცს ეყრდნობა. აქ მართლაც ზედა ცარცის ნაწილი გადარეცხილია, მაგრამ, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ სენონი მთლიანად გამოჩენილია. აქ მეოტური კონგლომერატები მესამეულის კირქვებზე არის განლაგებული.

ზედა ცარცის თეთრი კირქვები ქვევით თანდათან უფრო მუქი ფერის კირქვებში გადადის, რომელიც აგრეთვე მდიდარია კაჟის კონკრეციებით. ამ კირქვების სისქე 10 მეტრს არ აღემატება. ნამარხები არც აქ მოიპოვება. შესაძლებელია კირქვების ეს წყება სენომანს ეკუთვნოდეს, რადგან ქვევით თანხმობით ალბურ დანალექებში გადადის.

აღნიშნული იყო, რომ ზედა ცარცის კირქვები შრეებრივია. ცალკე შრის სისქე 80 cm იშვიათად აღემატება. ტექნოლოგიურმა გამოცდებმა (ა. კ. ნაგებობათა საკვლევეო ინსტიტუტი) გვიჩვენა, რომ ზედა ცარცის კირქვა მხოლოდ არქიტექტურულ ნაგებობათათვის არის გამოსადეგი. ქიმიური ანალიზის მიხედვით (SiO_2 —2,40%, Fe_2O_3 + Al_2O_3 —0,50%, MgO —0,45, SO_3 —0,44%, MnO —, CaO —54,15%, CO_2 42,62%) ქანი ჰიდრავლურ კირს მოიცემა.

ალბური სართული.

კარბონატულ სერიის თეთრ ფონზე მკვეთრად გამოიყოფა ალბური სართულის მუქი ქანები მოთავსებული ზედა და ქვედა ცარცის კირქვებს შორის. წყება მუქი ნაცრის ფერი თიხებისა და ღია ნაცრის ფერი შერეულების მორი-

¹⁾ Мокринский, Ткварч. угленосн. район, стр. 16.

გეობისაგან შედგება. ქანი მზეხედ ადვილად იშლება, ამიტომ მათი გავრცელების არე დაწეული ადგილმდებარეობებით აღინიშნება. დანალექებში ხშირია მარკაზიტის სფერო-კრისტალები. ზედა ცარცის კირქვებთან მათ გლაუკონიტისანი ქვიშაქვის რამოდენიმე შრე ემატება. ალბური სართული მდიდარია ნამარხებით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ურიცხვი *Aucellina*. არის აგრეთვე ბელემნიტები და თხელ ნიჟარიანი ამონიტები. სართულის ზედა ნაწილში, სადაც მერგელებს გლაუკონიტისანი ქვიშაქვები ერევა, *Aucellina* არ ჩანს. აქ სულ სხვა ფუნაზ განვითარებული. გლაუკონიტისანი ქვიშაქვებში დიდი ტანის ამონიტებია წარმოდგენილი. მათ შორის ხშირია *Puzosia*, მერგელები კი მდიდარია ინოკერამებით, ბელემნიტებით და ამონიტებით. ანალოგიურ დანალექებს აფხაზეთის სხვა კუთხეებში ალბურ სართულს აკუთვნებენ. ვებერი და მოკრინსკი ტყვარჩელის ზემოდ აღწერილ დანალექებს ალბურ სართულად სთვლიან.

აპტური ხართული.

ალბს ჩრდილოეთით აპტური კირქვები მოსდევს, რომელნიც საკმაოდ განსხვავდება ზედა ცარცის კირქვებისაგან. ალბური კირქვები უფრო მუქი ფერისაა, ხშირად სქელ შრიანია (1-მეტრი). ქანში მხოლოდ იშვიათად მოიპოვება კაჟის კონკრეციები. კირქვა ლითოგრაფიული ქვის ხასიათისაა და ნახევრად ნიჟარისებურ მონატებს იძლევა, ხშირია შიგ კალციტის ძარღვები და ზოგან ლიმონიტის მარცვლებსაც შეიცავს. ქანი ანალიზის მიხედვით (SiO_2 —3.0%, Al_2O_3 —0.52%, Fe_2O_3 —0.43%, CaO —51.50%, MgO —0.72%, SO_3 —0.38, K_2O+Na_2O —1.67%) მცირედ განსხვავდება ზედა ცარცის კირქვებისაგან. გადასვლა—ალბური დანალექებიდან აპტურ კირქვებში თანდათანობით ხდება, მაგრამ საზღვრის გავლება მათ შორის ადვილია. პეტროგრაფიული და პალეონტოლოგიური შემადგენლობით ეს ორი სართული საკმაოდ განირჩევა ერთი მეორისაგან. აპტური კირქვებიც მდიდარია ნამარხებით. აქ შეიძლება დავასახელოთ:

Douvileiceras martini var. caucasica. Ant.

Douvileiceras seminodosum Sinz.

Lytoceras Voronzovi Sperk.—*L. belliseptatum* Ant.

Nautilus neckerianus? Pict. et Camp.

Belemnites semicanaliculatus Blain.

და სხვა (ნამარხები განსაზღვრულია დოც. ი. რუხაძის მიერ).

კირქვები წყების ქვედა ნაწილში პეტროგრაფიულ ცვლილებას განიცდის. ქანი ქვიშა ნარევი და უფრო კირქვიანი ქვიშაქვაა, ვიდრე კირქვა. ნამარხებიდან მხოლოდ *Belemnites sp.* იყო შემჩნეული. ლალიძგაზე აპტური შრეები გარკვეულად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ არის დაქანებული.

აღწერილი დანალექები ჩრდილოეთისაკენ მასივ სახის კირქვებში გადადის, რომელშიაც განვითარებულია კაჟის კონკრეციები ქანში ხის ფესვივით გამჯდარი. კირქვა დასერილია კალციტის ძარღვებით. ნამარხები იშვიათია. გვხვდება *Rhynchonella sp.* და ზღვის ზღარბების ნაწილები. ეს კირქვებიც შესაძლებელია აპტურ სართულს მიეკუთვნოს და აი რატომ. ქვედა ცარცში კაპრო-

ტინიანი კირქვების ზევით განვითარებულია ეგზოგირიანი კირქვები. ეგზოგირებს შორის აღმოჩნდა *E. subsinuata* Leym, რომელიც ჩრდილო კავკასიაში¹⁾ ბარემულ სართულის ზევით არ გვხვდება, ჩვენში კი აბტშიაც გადადის. რაქაში კაპროტინიანი კირქვები ბარემულ სართულს ეკუთვნის (პროფ. ჯანელიძე), ცხადია, რომ ურგონის ზევით მდებარე დანალექები ბარემულზე უფრო ახალი უნდა იყოს. ამიტომ ტყვარჩელში ეგზოგირიანი კირქვების ზემოდ განლაგებული მასივი კაჟიანი კირქვები მეტის შანსებით აბტურ სართულს შეიძლება მიეკუთვნოს.

ურგონი (ბარემული სართული).

აბტს ჩრდილოეთით მასივი კირქვები საზღვრავს. ეს კირქვები ლალიძგის ხეობაში ნაზვავით არის დაფარული და ამიტომ იშვიათად ჩანს. აისრას სამხრეთ ფერდზე განვითარებული კაპროტინიანი კირქვები სქელ შრეებად აისრის წარმოდგენილი. ქანი ჭაშიშვლებზე მომუქო ნაცრის ფერისაა, შიგ კი ზოგან თეთრი ფერი, ზოგან კი ოდნავ ყვითელი ფერი გადაჰკრავს. ქანი მდიდარია კალციტის ძარღვებით. კალციტი აგრეთვე ნიჟარების ღრუბსაც აცხებს.


კაპროტინიანი კირქვები ქიმიური ანალიზის მიხედვით შეიცავს H_2O —0,30%, SiO_2 —1,10%, Al_2O_3 —0,76%, Fe_2O_3 —0,57%, CaO —54,10%, MgO —ნიშნებს; SO_3 —0,10% და უწყლოდ კარგავს 43,00%. როგორც ქვემოთ დავინახავთ ნეოკომის კირქვების ქვედა ნაწილი ქიმიური შედგენილობის მიხედვით განსხვავდება ურგონის კირქვებისგან.

ნამარხებიდან წყების ქვედა ნაწილში *Requienia* არის წარმოდგენილი; ზედა ნაწილში კი, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, *Exogyra* ჩნდება. სისქე კაპროტინიანი კირქვებისა 250—350 m აღწევს. ქედი აისრა—ლაშკენდერის შედგენილობაში ის დიდ როლს თამაშობს. საერთოდ ცნობილია როლი ურგონის კირქვებისა დასავლეთ საქართველოს ოროგრაფიაში. აღსანიშნავია აფხაზეთში ურგონის ფაციალური ცვლილება. მაგ. ბზიბის აუზში ნეოკომურ წყებაში კაპროტინიანი კირქვების მაგიერ შრეებრივი ეგზოგირიანი კირქვებია განვითარებული *Exogyra subsinuata* Leym-ით. ურგონის კირქვები დ. საქართველოში, როგორც უკვე ვიცით, ბარემული სართულის აღმნიშვნელია. *E. subsinuata* Leym. საშუალებით დანალექების ასაკის განსაზღვრა შეუძლებელია. მოსალოდნელია, რომ ბზიბის აუზში კაპროტინიან კირქვებს ეგზოგირიანი კირქვები სცვლიდეს.

ვალანჟინური და ჰოტრიფული სარ. (გადოლომიტებული კირქვები).

აისრა ლაშკენდერის მწვერვალების შედგენაში გადოლომიტებული კირქვებიც იღებს მონაწილეობას. ქიმიური ანალიზის მიხედვით (ა. კ. ნაგებობათა საკვლევი ინსტიტუტი) ეს კირქვა შეიცავს SiO_2 —0,36%, Al_2O_3 —3,30%, Fe_2O_3 —ნიშნები, CaO —29,85%, MgO —19,59%, SO_3 —არ არის, გახურებისას კარგავს—40,50% (CO_2 —45,00%). ქანი ღრუიანია და ხშირად მარცვლოვანი

¹⁾ Ренвартен, Горная Ингушетия. Тр. Гл. Геол. Разв. Упр., Вып. 63, 1931.



სურ. 1. ტყვარჩელის რაიონის გეოლოგიური რუკა. მასშტ. 1:84000

1. მეოტური სარ. 2. სარმატული სარ. 3. კონკური ჰორიზ. 4. კარაგანული ჰორიზ. 5. ჩოკრა-კული ჰორიზ. 6. თევზიანი თიხები (ოლიგოცენი). 7. თევზიანი მერგელები (ეოცენი). 8 ნუმულიტიანი კირქვები (შუა ეოცენი) 9. ზედა ცარცი. 10 ალბური სარ. 11. აბტური სარ. 12. ურგონი (ბარემი). 13. ვალანჯინური და ჰოტრივეული სარ. 14. ფერადი წყება. —.—.— შეცოცებანი.

Abb. 1. Geologische Karte des Tkwartscheli Reviers. Masstab 1:84000.

1. Maeotische Stufe. 2. Sarmatische Stufe. 3. Konka-horizont. 4. Karagan-horizont. 5. Tschokrak-horizont. 6. Fischtone (Oligozän) 7. Fischmergel (Eozän). 8. Nummulitenkalksteine (mittl. Eozän). 9. Obere Kreide. 10. Alb. 11. Apt. 12. Urgon (Barrême). 13. Valendis u. Hauterive. 14. Bunte Serie. —.—.—Überschiebungen.

აგებულობის, ზოგან თეთრი ფერისაა, ზოგან კი მოყვითალო ნაცრის ფერის. შრეებრივობა ნაკლებ ეტყობა. ვებერი¹⁾ გადოლომიტებულ კირქვებს იურას აკუთვნებს, მოკრინსკი²⁾ კი შთა ცარცად სთვლის, თუმცაღა ამის დამადასტურებელი საბუთები არ მოყავს.

ოოგორც ქვემოთ დავინახავთ, საბოლოოდ შეიძლება მივიღოთ, რომ გადოლომიტებული კირქვები, ურგონის ქვეშ განლაგებული, ნეოკომს ეკუთვნის.

1. Вебер, Геологическ. исслед. части Сухум. окр. стр. 62.

2. Москрянский, Ткварчельский угленос. район, стр. 16.

ბრაქიოპოდოდიანი ჰორიზონტი. — (ბერიასი).

ლალიძის ხეობაში და აგრეთვე ლეჯირის აუზში გადოლომიტებული კირქვები მოყვითალო ფერის შრეებრივ კირქვებში გადადის. ორგანიული ნაშთიდან *Rhynchonella sp.* და *Terebratula sp.* ბლომად მოიპოვება, რის გამო სერიის ამ ნაწილს ბრაქიოპოდოდიანი ჰორიზონტი ვუწოდებთ. ჰორიზონტის ზედა ნაწილში ქვიშანარევი გადოლომიტებული კირქვებია განვითარებული, შუა ზოლში ყვითელი ფერის კირქვებია წარმოდგენილი. ქვედა ნაწილში შრეებრივი კირქვებია აგრეთვე განვითარებული, მხოლოდ შიგადაშიგ კირქვებში მერგელუბიცი ურეგია. კირქვა ბრექჩიასებურია, რადგან შიგ კირქვის ნატეხებია განვითარებული. კირქვის ნატეხები ხშირია აგრეთვე მერგელუბიცი. ამ ადგილას ქანი ნამდვილ ტექტონიკურ ბრექჩიას მოგვაგონებს. ამ წყების ასაკის დადგენისათვის ძვირფასია ბრაქიოპოდოდიანი შრეებში ნაპოვნი *Spiticeras (Negreliceras) cf. Negreli Math.* (პროფ. ალექს. ჯანელიძის განსაზღვრით), რომელიც ვალანჯინური სართულის სულ ქვედა ნაწილის დამახასიათებელია, ამ გარემოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ვიცით კაპროტინიან კირქვებს ქვეშ, როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აფხაზეთშიც, გადოლომიტებული კირქვებია განვითარებული, რომელშიაც სახელმძღვანელო ნამარხი არ მოიპოვება. ამ ნაწილს კარბონატული წყებისას ხან ცარცს, ხან იურას აკუთვნებდნენ. ესლა უკვე გადაწყვეტილად შეიძლება ითქვას, რომ კაპროტინიან კირქვებს ქვეშ თანხმობით განლაგებული გადოლომიტებული კირქვები პოტრეგულ და ნაწილობრივ ვალანჯინურ სართულს უნდა მიეკუთვნოს.

ფერადი წყება.

იურის ფორმაციიდან ჩვენ მხოლოდ მის ზედა ნაწილს შევხებით, სახელობრ, ფერად წყებას. ეს წყება ჩვენთვის საინტერესო იყო იმდენად, რამდენადაც მასში ანჰიდრიტის საბადოებია განვითარებული. ლალიძის ხეობაში ეს სერია წარმოდგენილია წითელი ფერის თიხებით, რომელშიაც კლასტური და ვულკანური ქანების ნახევრად მორგვალეული ნატეხებია მოქცეული. მასალის განლაგებაში არაერთგვაროვანი წესი ანა ჩანს და ნაშენობით ძალიან წააგავს ხოლმე ნაზვავს. თიხებს შორის იშვიათად თეთრი და ვარდის ფერი ანჰიდრიტის ლინზებია მოთავსებული. აღსანიშნავია ლალიძის მარცხენა ნაპირზე განვითარებული ანჰიდრიტის საბადო (კარბონატული წყების ზემო), რომელიც 15 m სიგრძეზე არის გაშიშვლებული წყლის დონესთან ახლოს. გაშიშვლების სიმაღლე დაახლოვებით 2 m უდრის; ზემოდან მას სქელი ნაზვავი ფარავს. ფერად სერიას ჩვენ გავეცანით აგრეთვე ლეჯირის აუზში. ამ მდინარისა და მოქვეს შუა გუფის აისრას ჩრდილოეთით ხევები საზღვრავს. ერთი მათგანი მოქვეს ერთვის, მეორე ლეჯირს. ორივე ფერად სერიაში გადის და იძლევა სერიის კარგ განაკვეთს. წითელი თიხები შიგ მოყოლილი ვულკანურ ნატეხებით აქაც არის განვითარებული, მხოლოდ კირქვებთან კონტაქტში მომწვანო ფერის ქანები ემატება. უშუალო კონტაქტი ფერად სერიასა და კირქვებს შორის კარგათ არის გაშიშვლებული ლე-

ჯირის მარჯვენა ნაპირზე მაკე-კვარასა და პატარა ლეჯირის შესართავებთან. ბრაქიოპოდოიან კირქვებს ჩრდილოეთისაკენ შემდეგი შრეები მიუყვება:

1. მოყვითალო ფერის კირქვები.
2. ბრექჩია წვრილ მარცვლოვანი, მოწითალო ფერის, ხშირი კვარცის კენჭებით.
3. ქვიშაქვა ნაცრის ფერი, წვრილ მარცვლოვანი.
4. კირქვა ღრუბიანი, მოყვითალო ფერის კალციტის კრისტალებით.
5. ქვიშაქვა მსხვილ მარცვლოვანი.
6. ბრექჩია შიგ კვარცის კენჭებით, შემაღულაბეგელი მასალა მოწითალო ფერისაა.

უფრო ჩრდილოეთით განვითარებულია წითელი ფერის თიხები, ქვიშაქვები, ბრექჩიები, რომლებშიც ხლართული შრეებრივობა არის განვითარებულ ი. ფერად სერიას ძველი გეოლოგები¹⁾ ზედა ოქსფორდულს აკუთვნებდნენ მოკრინსკი²⁾ თანახმად მეფერტისა, მას ტიტონად სთვლის. მეფერტის აზრით ფერადი წყება თანხმობით გადადის ნეოკომურ კირქვებში. მაგრამ ფაქტი ყოველგან ჩვენში ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. დასავლეთ საქართველოში ნეოკომი ტრანსგრესიულია. ტრანსგრესიულია ის აგრეთვე აფხაზეთშიაც. ლილიძის ხეობაში იურისა და ცარცის კონტაქტთან გადოლომიტებულ კირქვებში წითელი ფერის მსხვილ მარცვლოვანი ქვიშაქვის ნატეხები იყო შემჩნეული. ასეთ შემთხვევაში ფერადი სერია შეუძლებელია ტიტონს ეკუთვნოდეს. სტრატოგრაფიული ხარვეზი ცარცსა და ფერად სერიის შორის გვაძლევს სტრატოგრაფიული დონე უკანასკნელისა ცოტა ქვევით დავსწიოთ. პროფ. ა. ჯანელიძის³⁾ მიხედვით ის ოქსფორდულსა და კიმერიჯულს შუა ქანაობს.

ტ მ კ ტ ო ნ ი კ ა .

ტყვარჩელის რაიონის აღნაგობის პირველი სურათი ვებერმა მოგვცა. მის განაკვეთში⁴⁾ გარკვეულად არის გამომჟღავნებული ტექტონური სირთულე, რაც შრეების ძალზე აყირავებაში და ნეოკომური კირქვების ნაოქის გაწყვეტა—გადაყირავებაში არის გამოსახული. მოკრინსკი⁵⁾ საერთოდ ეთანხმება ვებერს რაიონის ტექტონიკურ გაგებაში, მხოლოდ თავის მხრივ დასძენს, რომ ტექტონიკური სირთულე აქ კირქვებისა და მესამეული დანალექების სამხრეთისაკენ მოძრაობაში არის გამოხატული: „весь этот комплекс (т. е. карбонатная серия и третичные отложения) по крупному разрыву, имеющему, повидимому, характер надвига с N на S, прилегает к толще третичных осадков от эоцена

1) Симонович, Геологические наблюдения в долине р. Ингура 1876 г. *Мат. для Геол. Кавк.* стр. 96.
 2) Мокринский, Ткварчель. угленосный район стр.
 3) A. Djanelidzé, *Materiaux pour la géologie du Radcha. Bul. L'Institut Géologique de Géologie* v. I. Fasc. 1, 1932. La faune jurassique de Cortha et son âge.
 4) Вебер, Заметка о местор. камен. угля близ Очемчвыры стр. 304.
 5) Моквинский, Ткварчельский угленосный район стр. 17.


до плиоцена“. შემდეგ გამოცემულ შრომებში¹ ის მეტ სიფრთხილეს იჩენს ტექტონიკურ საკითხების გადაჭრაში და სამართლიანად აღნიშნავს, რომ ტურონის კირქვები გარკვეულად სამხრეთ-დასავლეთისაკენ არის დაქანებული, ხოლო ქვედა ცარცის კირქვებში შრეები ხან NO, ხან კი SW ეცემა. მაგრამ რაიონის საერთო ტექტონიკური აღნაგობა მაინც გაურკვეველი დარჩა. მართლაც კარბონატული სერიის შრეები ურთი-ერთ შორის და მეზობელ ფორმაციებთან მეტად რთულ დამოკიდებულებაშია. საკითხში გარკვეულობის შეტანის მიზნით კვლევის ფართობი გაფართოებული იქმნა, როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ისე სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ერთი დღით სამურზაყანოშიც გადავედით, სადაც ოქუმის ხეობაში კირქვის წყების აღნაგობას გავეცანით.

აგეგმილ რაიონის სამხრეთ ნაწილში ერთი გარკვეულად გამოსახული სინკლინი მოჰყვა, რომლის სამხრეთი ფერდი მცირე კუთხით 25—30° არის დაქანებული NW-კენ, მაშინ, როდესაც ჩრდილო ფერდის შრეების დაქანება 50°-ს აღწევს და ჩრდილოეთისაკენ თანდათან მატულობს 90°-მდე და ზოგან შრეებს სამხრეთისაკენ ეტყობათ გადაყირავება. ლეჯირის შესართავთან მეოტური კონგლომერატები დაქანებული SW 160° \angle 50°, ბაჩირის ნაპირას SW 215° \angle 50°, ფოლასიანი შრეები აჯი-მამწვარას ფერდზე \angle 65° ეცემა სამხრეთ-დასავლეთისაკენ, სპანიოლონტელიანი შრეები კი SW 240° \angle 70°. ჩოკრაკი ლალიძგის მარცხენა ნაპირზე დაქანებულია SW 240° \angle 80°, ლეჯირზე კი სამხრეთისაკენ არის დაქანებული, მაგრამ ზოგან მათაც ეტყობათ გადაყირავება სამხრეთისაკენ მაგ. კვეზანში. ალრაში ოლიგოცენის თხები მეორადად არის დანაოქებული. ეოცენის მერგელებს ძალზედ აყირავება და ზოგან სამხრეთისაკენ გადაწოლა ეტყობათ.

ეოცენის მერგელების ჩრდილოეთით კვლავ მეოტური დანალექებია განვითარებული, რომელნიც ზოგან (მაგ. ლალიძგის ხეობის დასავლეთით) ცარცსა და ეოცენის მერგელებს შორის არის გაჩხირული, აგეგმილ რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კი ნუმულიტიან კირქვებსა და ეოცენის მერგელებს შორის. აქ შემჩნეულია შრეების დაქანების კუთხის და აზიმუტის დიდი ცვალებადობა: ლეჯირზე მეოტური ქვიშაქვები სამხრეთ დასავლეთისაკენ არის დაქანებული \angle 25°, ლალიძგაზე ეოცენის მერგელებთან ახლო \angle 65° სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კარბონატულ წყებასთან კი NO \angle 80° \angle 80°, ალრაში მხოლოდ \angle 5° ეცემა ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ჩამოთვლილი ფაქტები: აჯიმა-მწვარას სინკლინის ასიმეტრიულობა, შრეების ჩრდილოეთი მიმართულებით ძალზე აყირავება და გაწყვეტა და ბოლოს გაწყვეტის ჩრდილოეთით კვლავ მეოტის არსებობა, რომლის შრეების განლაგებაში აღნიშნული თავისებურებანი არის შემჩნეული, ადვილად ასახსნელია, თუ დაუშვებთ მასების ჩრდილოეთისაკენ მოძრაობას, რასაც შედეგად ზემოდ ჩამოთვლილი მოვლენები უნდა მოყოლოდა. მათ შორის ყველაზე შესანიშნავი ეოცენის მერგელების მეოტურ სართულზე შეცოცებაა. (და არა ნახსლეთი, როგორც მოკრინსკი ფიქრობს).

¹) Моринский, Геол. Разведочные работы Геол. К-та в Ткварчельском угленосном районе.

ზედა ცარცის კირქვები დალიძეზე SW 220° \angle 70° არის დაქანებული მაგრამ ამავე დროს შემჩნეულია შრეების დანაოქება დაქანების მიმართულებით მაგ. დალიძის მარჯვენა ნაპირზე ზედა ცარცის სულ ქვედა შრეები დაქანებულია SW 245°—255° \angle 85°, იგივე შრეები დალიძის წყლის დონეზე გარკვეულად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ არის დაქანებული. შემჩნეულია აგრეთვე შრის დაქანების ცვალებადობა მიმართულების გასწვრივ; მაგ. დალიძის პირველხიდთან 50 მეტრის მანძილზე შრე ერთ ბოლოში ჩრდილოეთისაკენ არის დაქანებული, მეორე ბოლოში კი სამხრეთისაკენ. დასასრულ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტი. დალიძის მარჯვენა ნაპირზე კირქვების გადარეცხილ ზედაპირზე ფრეებს დაგრეხვა ემჩნევა. თუ ამით დაფუძნებით ზედა ცარცის კირქვებში მეორადი ნაოქის გაჩენას, ამონიტის ტიხრის ხაზის მავვარ შეკრულ ნაპრალების წარმოშობას და ზოგან შემჩნეულ სტილოლიტებსაც, ჩვენთვის უდაო ხდება ზედა ცარცის კირქვების ჩრდილოეთისაკენ მიმართულ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება.



სურ. 2. აიხრა—ქედის გეოლოგიური განაკვეთი მდ. დალიძის გასწვრივ. მასშტ. 1:84000.

1. მეოტური სართ. 2. სარმატული სართ. 3. კონკური ჰორიზ. 4. კარაგანული ჰორიზ. 5. ჩოკრკული ჰორიზ. 6. თევზიანი თიხები (ოლიგოცენი) 7. თევზიანი მერგელები (ეოცენი). 8. ნუმულიტინიანი კირქვები (შუა ეოცენი). 9. ზედა ცარცი, 10. ალბური სართ. 11. აპტური სართ. 12. ურგონი (ბარემული სართ.) 13. ვალანჟინი. და ჰოტრიეული სართ. 14. ფერადი წყება.—.—.— შეცოცხბანი.

Abb. 2. Geolog. Profil durch die Aissrabergrkete bei Halitzga. Masstab 1:84000

1. Maeotische Stuf. 2. Sarmatische Stuf. 3. Konka-horizont 4. Karagan-horizont 5. Tschocrak-horizont. 6. Fischtone (Oligozän). 7. Fischmergel (Eozän). 8. Nummulitenkalksteine mittl Eozän) 9. Obere Kreide. 10. Alb. 11. Apt. 12. Urgon (Barrême). 13. Valendis u. Hauterive. 14. Bunte Serie .—.—.—.—Überschiebungen.

მეორადი ნაოქები ალბურ თიხებში და მერგელებშიაც არის განვითარებული. ეს ნაოქები თითქმის ყველგან სამხრეთისაკენ არის გადაყირავებული და ზოგან გაწყვეტილი.

ქვედა ცარცის კირქვები, როგორც აღნიშნული გვაქვს, მასივი სახისაა და ამიტომ შრეებრივობა არ ეტყობა, მხოლოდ ვალანჟინურ დანალექებში შრეებად წარმოდგენილი კირქვებს დაქანების მიმართულებით დანაოქება ეტყობათ, მაგრამ საერთოდ ესენიც სამხრეთისაკენ არის დაქანებული. სულ სხვა სურათი აღეჯირსა და მოქვს შუა. აქ ნეოკომური კირქვები ფერად სერიასთან ერთად გარკვეულად ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ არის დაქანებული \angle 55°. ეს მოვლენა შეცოცხებით გამოწვეულ უკუნაოქს უნდა დაუკავშირდეს. ფერადი სერიის ჩრდი-

ლოგით რა ხდება, ჩვენ არ ვიცით. მოკრინსკის მიერ ამ რაიონისათვის მოცემული ტექტონიკური სქემის თანახმად პორფირიტული სერია უნდა წარმოადგენდეს იმ მყარ და უდრეკ მასას, რომელზედაც მოძრაობდნენ ზემო აღნიშნული დანალექები. მოკრინსკის¹⁾ მიხედვით ქვანახშირიან წყებაში და პორფირიტულ სერიაში გართულებული ფლექსურის მაგვარი სინკლინია განვითარებული, რომლის ჩრდილო ფრთაზე წარმოდგენილი შრეები SW \angle 60° არის დაქანებული სამხრეთისაკენ, გული სინკლინისა კი გართულებულია ნახსლეტებით და მცირე მასშტაბის შეცოცებებით.

აჯამიწვარას სამხრეთით ერთი ანტიკლინური ნაოჭი იყო შემჩნეული პატარა ოტოფურის გასწვრივ, წყალ ვარდნილის ზემოთ და ერთი სინკლინი ბედის მონასტერთან.

ამრიგად ტყვარჩელის რაიონის სამხრეთ ნაწილში მარტივ ტექტონიკურ ერთეულთან გვაქვს საქმე. აქ შრეებს მხოლოდ დანაოჭება განუტლიათ. რაც შეეხება ჩრდილო ნაწილს სურათი აქ უფრო რთულია. აქ დიზიუნქტური მოვლენები ჰარბობს.

საგრანობლად იცვლება ტექტონიკური სურათი შრეების მიმართულების ვასწვრივ. ოქუმის ხეობაში ცარცის კირქვები სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ არის ქდაქანებული \angle 25°— \angle 30°-თ, ლალიძისაკენ შეცობების გამო იგივე ცარცის კირვები აყარავებული და მეორადაა დანაოჭებული და ამიტომ გასქელებულია-როგორც ჩანს, ჩრდილო-დასავლეთისაკენ შეცოცებების ინტენსივობა მატულობს, მოქვისაკენ ცარცის ფორმაციის ცალცალკე სართულები მეტისმეტად გათხლეებულია. აქ შეცოცების ნიშნები უფრო სამხრეთით არის შემჩნეული, ვიდრე ლალიძის ხეობაში. მოქვის მარცხენა მხარეზე სამხრეთისაკენ დაქანებულ მეოტურ კონგლომერატებში მეორადი სინკლინია განვითარებული, რომლის სამხრეთით გაწყვეტილი მეოტური კონგლომერატები კვლავ სამხრეთისაკენ არის დაქანებული, მხოლოდ გაცილებით უფრო დიდი კუთხით.

ტრანსგრესია—რეგრესიები და ოროგენეტული ფაზისები.

ჩვენ მიერ შესწავლილი რაიონი მეტად პატარაა იმისათვის, რომ დასმული საკითხები ჯეროვანად იქმნეს გაშუქებული. აქ შესაძლებელია მხოლოდ მიღებული დასკვნების შედარება-დაკავშირება კავკასიის სხვა კუთხეებში მიღებულ შედეგებთან. ამიტომ ზედმეტად არ მიგვაჩნია დაგროვილი ფაქტიური მასალა ამ მიზნისათვის გამოვიყენოთ.

სტრატეგრაფიულ ნაწილში საკმაოდ შევხებთ ნეოკომურ ტრანსგრესიას. ის უკვე არავითარ დავას არ იწვევს. მართალია, ტყვარჩელის რაიონში ის შეცოცების გამო გარკვეულად არა ჩანს, მაგრამ აფხაზეთის სხვა ნაწილებში, მაგ. ბზიბის აუზში საკმაო სიცხადით გვევლინება. კარბონატულ სერიაში უთანხმოება შემჩნეული არ იყო. მის შუა ნაწილში განვითარებული თიხები და გლავკონიტური ქვიშაქვები შუა ცარცის ზღვების გათხლეების მაჩვენებელი უნდა იყოს.

¹⁾ Мокринский, Геол. разведочные работы Геол. ком. в Тьварч. углек. районе, стр. 12.

ტექტონიკური უთანხმოებისა გამო შეუძლებელია თქმა, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს ნუმულიტიან კირქვებსა და ეოცენის მერგელებს შორის. ოლიგოცენი დასავლეთ საქართველოში ტრანსგრესიულია. ჩვენს რაიონში ეს არა ჩანს. პირიქით, აღნიშნული იყო ეოცენის მერგელების ოლიგოცენის თიხებში თანდათან გადასვლა. მართალია ჯუხუს მარცხენა ნაპირზე ოლიგოცენის თიხები ძალიან უახლოვდება ალპურ დანალექებს. აქ არც ზედა ცარცი და არც ნუმულიტიანი კირქვები ჩანს, მაშინ როდესაც მდინარის მარჯვენა ნაპირზე ისინი კარგად არის წარმოდგენილი. სტრატиграფიულ უთანხმოებას აქვს ადგილი აქ, თუ ტექტონიკურს, გაურკვეველი დაგვრჩა.

ყურადღებას იპყრობს ჩოკრაკული ჰოლოზონტის ქვედა ნაწილი, რომელიც მსხვილმარცვლოვანი მასალით იწყება. ამ დანალექების უთანხმო განლაგება ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებში და აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში. ჩოკრაკის წინა ოროგენეტული მოძრაობა ალპური სისტემაში შტირიის ფაზას უნდა დავუკავშიროთ.

სტრატиграფიულ ნაწილში საკმაოდ შეეხებთ აგრეთვე მეოტური დანალექების პეტროგრაფიას. ამასთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებებს, რომ დასავლეთ საქართველოში ზედა სარმატული სართული სრულიად არ არის განვითარებული, ცხადია, რომ მეოტურ ტრანსგრესიას წინ ოროგენეტული ფაზისი უსწრებდა, რომელიც ალპურ სისტემის ატიკურ ფაზას უნდა უღრიდეს.

I. KATSCHARAWA.

Die Geologie des Tkwartscheli Reviers.

Zusammenfassung

Tkwartscheli liegt im Becken des Fl. Halidzga an der Grenze des Berg- u. Hügellandes Abchasiens. Von der Kohlenlagerstätte ist es ca 10 km—von Otschamtschire aber 20—25 km entfernt.

Der Verfasser wurde beauftragt die in dem Tkwartscheli-Revier verbreiteten Kalksteine zu untersuchen.

Die geologische Aufnahme erstreckte sich auf eine Fläche von 50 km.² und umfasste ausser Kalksteine (Kreide) teilweise jurassische u. tertiäre Sedimentablagerungen.

Stratigraphie. Postpliozän ist hauptsächlich im Südtelle des Reviers entwickelt u. vorwiegend durch recente u. alte Flussablagerungen vertreten. Im Dorfe Kwesani am rechten Ufer des Fl. Halidzga sind zwei Terrassen deutlich zu unterscheiden.

Die mäotische Stufe, welche bei uns sehr verbreitet ist, besteht aus Kalksteinkonglomeraten u. Ton. Faunistisch ist dieselbe in zwei Horizonte einzuteilen. Für den unteren hauptsächlich aus Konglomeraten bestehenden Horizont ist die auf S. 142, für den oberen auf S. 143 angegebene Fauna charakteristisch. Die Kalksteinkonglomerate sind auch in Samursakano u. Mingrelien verbreitet, u., obwohl dieselben die Aufmerksamkeit der Geologen auf sich lenkten, hat bis jetzt niemand ihre faunistische Charakteristik gegeben.


Sarmatische Stufe. Am Abhang des Rückens von Adschima-Mtzwara wurden im Gehängeschutt gelbliche Sandsteinstücke mit sarmatischen Versteinerungen (*Ervillea podolica* Eich. u. and.) gefunden. Sarmat scheint durch die Schuttmasse unter dem Konglomeratkarnis bedeckt zu sein u. deswegen ist auf der Karte die Grenze annähernd gezogen.














Das mittlere Miozän ist durch die Konka-, Karagan- und Tscho-krakhorizonte vertreten. Die ersten zwei sind auf unserer Karte im südöstlichen Teile des Gebiets angegeben, der dritte aber zieht sich durch das ganze Gebiet mit schmalen Streifen. Da in nordwestlichem Teile kein Kontakt zwischen der Mäotstufe u. dem Tscho-krakhorizonte beobachtet wurde, ist es möglich, dass die oberen Horizonte des mittleren Miozäns auch hier entwickelt, aber durch die Schuttmasse zugedeckt sind. Konka- u. Karagan-schichten (Sandsteine u. Tone mit sphärolitischen Konkretionen) sind arm an

ქირულის ხეობის ნაწილის გეოლოგიური რუკა შედგ. პ. გამკრელიძის და ს. ჩიხელიძის მიერ

Karte géologique d'une partie de la vallée de la Dziroula par P. Gamkrélidzé et S. Tchikhelidzé


ლეგენდა.
Légende.




-  სანიონტენტელებიანი წყება—შუა მიოცენი.
Couches à Spaniondella.—Miocène moyen.
-  ცარცი (დაფუოლად).
Crétacé. (Sans subdivisions).
-  ზედა ტუფოგენი (პორფირიტული) სერია.—ბაიოსი.
Série tufogène porphyritique) supérieure.—Bajocien.
-  წითელი კირქვები.—შუა ლიასი.
Calcaires rouges.—Lias moyen.
-  კონგლომერატები და კვარც. ქვიშაქვები.—ქვედა (?) ლიასი.
Conglomerats et ges, quartzeux.—Lias inférieur (?).
-  ქვედა ტუფოგენი წყება.—ზედა ტრიასი, ან ქვ. ლიასი.
Série tufogène inférieure.—Triasique supérieur ou liasique inférieur.
-  ფილიტები.—პალეოზოიკური.
Phyllades.—Paléozoïque.
-  პორფირიტის განფენები—ზედა იურა?
Nappes de porphyrite.—(Jurassique supérieur ?).
-  ვულკანური განფენი პორფირიტ-დიაბაზი?
Nappevolcanique (Porphyrite-diabase?)—Præliasique (?).
-  კრისტალური მასივი (გნეისები, გრანიტები, გაბრო და სს.)
Massif cristallin (gneïsses, granites gabros et etc)
-  ნახლეტები და ნაწეხები.
Failles et décrochsements horizontaux
-  შუცოცებანი.
Failles inverses.
-  თიხის მალარობი.
Mines. (Argile réfractaire).


აბსოლ. სიმაღლეები მეტრობით. Les hauteurs (abs.) en mètres.

მასშტაბი—1:84000 Echelle—1:84000






- Станнодонтова туга. Couches à Stanodonitella.
- Крольские пески (олигоцен?). Sables de Kroll (oligocène?).
- Туфо-андезиты (эоцен). Série des tufs andésitiques etc.
- Датский ярус. Danien?
- Сенон. Sénonien.
- Турон. Tournonien.
- Сенониян. Cénomanien.
- Альб. Albien.
- Свита „Мтавари“ (альб.). Couches de Mtavari.
- Апт. Aptien.
- Нижний неокон и баррем. Bartonien et néocomien inférieur.
- Порфиритовая серия (бajos). Série porphyritique (bajocien).
- Красные известняки (средний леле). Calcaires rouges (lias moyen).
- Известняки (нижний леле). Grès quartzeux (lias inférieur).
- Филлиты (палеозой). Phyllades (paléozoïque?).
- Порфиритовые покровы. Nappes de porphyrite.
- Кристаллический массив. Massif cristallin.
- Сбросы и сдвиги. Надвиги. Шарьяжи. Failles et décrochements horizontaux.
- Сбросы и сдвиги. Failles inverses et charriages.



ments horizontaux.
Failles inverses
et charriages.



MACILITAB 1:42 000 ECHELLE